პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 150 (9926) | შაბათი, 26 ივნისი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).
მოსავლის აღების ჩვენი სამუშაო გეგმა (მე-2 გვერდი).
მ. გოცირიძე. — გავაუმჯობესოთ სოფლად წიგნით ვაჭრობა (მე-2 გვერდი).
გვატემალის მთავრობის მიმართვა და საბჭოთა მთავრობის პასუხი (მე-2 გვერდი).
გ. ზარიძე. — უფრო ახლოს წარმოებასთან (მე-3 გვერდი).
ხალხთა შემოქმედებითი მეგობრობის დროშით. — მოძმე რესპუბლიკების სიმღერები და ცეკვები. დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით. საინტერესო შეხვედრა [illegible] (მე-3 გვერდი).
ბ. ჩიქოვანი. — ორი გაზაფხული (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ელექტრონული ბიბლიოთეკა

საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელებისათვის

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ფართო საზოგადოებრივი წრეები დიდი ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების საერთაშორისო კონფერენციის მუშაობას. ეს კონფერენცია 19-23 ივნისს მიმდინარეობდა სტოკჰოლმში. იგი მოწვეულ იქნა ფრანგ საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფის ინიციატივით, რომელშიც შედიოდნენ ეროვნული კრების დეპუტატები — სხვადასხვა პარტიების წევრები. აღმოსავლეთისა და დასავლეთის 30 ქვეყნის წარმომადგენლები შეხვდნენ ერთმანეთს იმისათვის, რომ თავისუფალი დისკუსიის გზით განეხილათ ლონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

როგორც მთელი რიგი კაპიტალისტური ქვეყნების ბურჟუაზიული პრესის აზრი მოწმობს, კონფერენციის მოწვევის იდეამ შეშფოთება გამოიწვია იმ საერთაშორისო წრეებში, რომლებიც დაინტერესებული არ არიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებით. რეაქციული პრესა ცდილობდა დაეთესა ხალხის მასებში უნდობლობა სხვადასხვა ქვეყნის საზოგადო მოღვაწეთა ამ კეთილშობილური ინიციატივისადმი. შვეიცარიისა და შვეციის მთელმა რიგმა გაზეთებმა, რომ აღარაფერი ვთქვათ ამერიკის პრესაზე, გამოაქვეყნეს აშკარად ერთი და იმავე წყაროდან ინსპირირებული ყალბი ცნობები კონფერენციის შესახებ, უწოდებდნენ რა მას „კომუნისტურ მიტინგს“.

მაგრამ მალე ბურჟუაზიული პრესა იძულებული გახდა აღენიშნა, რომ იგი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. მართლაც, ძნელია კომუნისტები ეწოდოს ისეთ პოლიტიკურ მოღვაწეებს, როგორიც არის, მაგალითად, საფრანგეთის ეროვნული კრების დეპუტატი რენე კაპეტანი, რომლის თავმჯდომარეობით გაიხსნა კონფერენცია. კონფერენციის მონაწილეთა შორის იყვნენ ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიის წევრები, იაპონიის პარლამენტის დეპუტატები — ყველა პარტიის წევრები, ინგლისის ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელი, იტალიისა და საფრანგეთის პარლამენტების დეპუტატები, ბრაზილიის, არგენტინის მთავრობის პარტიების დეპუტატები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წარმომადგენლები. აგრეთვე მეცნიერები, მწერლები, გონებრივი შრომის მუშაკები, სქმიანი წრეების წარმომადგენლები, ეკონომისტები, რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კონფერენციას მიესალმნენ შვეციისა და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩები. მას წერილებით მიმართეს საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ ჟონ პოლ-ბონკურმა, იტალიის მინისტრთა საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ პარრიმ, იაპონიის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ტეცუ კატაიამამ, ფრანგმა კათოლიკე მწერალმა ფრანსუა მორიაკმა. სულ სხვადასხვა. პარტიებიდა და პოლიტიკური შეხედულებების ადამიანებმა დაუჭირეს მხარი კონფერენციას, რომლის მონაწილეებს სრული უფლება ჰქონდათ განეცხადებინათ, რომ ისინი წარმოადგენენ მსოფლიოს ძირითადი ქვეყნების საზოგადოებრიობის უფართოეს წრეებს.

რით აიხსნება ის უდავო ფაქტი, რომ ფრანგ საზოგადო მოღვაწეთა ინიციატივამ ესოდენ დიდი გამხმაურება და მხარდაჭერა ჰპოვა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში და შესაძლო გახადა ასეთი წარმომადგენლობითი კონფერენციის მოწყობა? ეს აიხსნება უწინარეს ყოვლისა იმით, რომ მილიონობით ადამიანი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მოითხოვს ბოლო მოეღოს „ცივ ომს“, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეები ეწევიან. ხალხები მოითხოვენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. ისინი მოითხოვენ შეწყდეს გამალებული შეიარაღება, შეწყდეს ამჟამად წარმოებული ომები და კაცობრიობა განთავისუფლდეს მწუხარებისა, ტანჯვისა და გაჭირვებისაგან, რასაც ეს ომები იწვევენ.

სწორედ იმიტომ, რომ კონფერენციაზე დაისვა თანამედროვეობის მთავარი და ძირითადი საკითხი, რომელიც ეხება ყველა ქვეყნის ადამიანთა ცხოვრებას, დამოუკიდებლად მათი პოლიტიკური და საზოგადოებრივი წყობილებისა, საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების სტოკჰოლმის კონფერენცია დიდი მოვლენა გახდა ხალხთა ცხოვრებაში.

კონფერენციის მონაწილეებმა ფართო და თავისუფალი დისკუსიის შემდეგ მიიღეს საერთო რეზოლუცია, მიმართვა ყენევის თათბირის მონაწილეებისადმი, მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი გვატემალის ამბებთან დაკავშირებით, აგრეთვე მთელი რიგი რეკომენდაციები. ეს დიდი მნიშვნელობის დოკუმენტებია. სავსებით უეჭველია, რომ მათ მხარს დაუჭერენ საზოგადოებრიობის უაღრესად ფართო წრეები მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

კონფერენციის საერთო რეზოლუციაში დადასტურებულია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი. „ბანსხვავება პოლიტიკურ და სოციალურ სისტემებში, — აღნიშნულია რეზოლუციაში, — თავისთავად სრულიადაც არ არის ომის გამომწვევი გარდუვალი მიზეზი. მუშიდოგიანი თანაარსებობა სავსებით შესაძლებელია იმ პირობით, თუ ყველა ხალხის, როგორც დიდი ისე პატარა ხალხების, უფლება აღიარებულია დე-ფაქტო და დე-იურე“ (ესე იგი ფაქტიურად და იურიდიულად).

კონფერენციის მონაწილენი მოითხოვენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია სწორად ასახავდეს ნამდვილ ურთიერთობას მსოფლიოში და ყოველისმომცველი ორგანიზაცია გახდეს. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეიძლება ასეთი ორგანიზაცია გახდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას დაუბრუნდება ამ ორგანიზაციაში ის ადგილი, რომელიც მას სამართლიანად ეკუთვნის, და თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიღებულ იქნება ყველა სახელმწიფო, რომლებმაც მიმართეს ან მიმართავენ თხოვნით მათი მიღების შესახებ.

რეზოლუციაში აღნიშნულია საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მიღწევის სწორი გზა:

„ყველა სახელმწიფომ უარი უნდა თქვას სადავო საკითხების გადასაჭრელად ძალადობის გამოყენებაზე. ყველა კონფლიქტი უნდა მოწესრიგდეს მოლაპარაკების გზით, ხოლო მოლაპარაკება მტკიცედ უნდა გაბრძელდეს, თუნდაც დასაწყისში სიძნელენი დიდი იყოს.

ამ პრინციპებით უნდა იხელმძღვანელონ, უწინარეს ყოვლისა, ევროპის მოლაპარაკებაზე, რომლის წარმატება დიდად განამტკიცებდა მშვიდობას მთელ მსოფლიოში“.

კონფერენციამ მოითხოვა კორეის შესახებ შეწყვეტილი მოლაპარაკების განახლება, გერმანიის საკითხის გადასაწყვეტად მოლაპარაკების რაც შეიძლება მალე განახლება, ატომური იარაღით ექსპერიმენტების აკრძალვა. იგი მოითხოვს, „რომ სახელმწიფოებმა, რომლებსაც ამჟამად აქვთ მასობრივი მოსპობის იარაღი, ვალდებულება იკისრონ არ გამოიყენონ იგი და რომ გამოცხადდეს ასეთი იარაღის დამზადებისა და დაგროვების აკრძალვა და ამ აკრძალვის დაცვისადმი კონტროლი“.

კონფერენციამ აღნიშნა, რომ დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელსაც შეუძლია შეანელოს საერთაშორისო დაძაბულობა მსოფლიოში, არის ვაჭრობის განვითარება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. იგი შეიძლება მნიშვნელოვნად გადიდდეს როგორც კი მოისპობა ამჟამად არსებული შეზღუდვები. გამოითქვა აგრეთვე საერთო სურვილი გადიდდეს და გაფართოვდეს კულტურული გაცვლა.

ყველასათვის ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეები, უგულებელყოფენ რა ხალხთა მისწრაფებას მშვიდობისადმი, ყოველნაირად ცდილობენ გააფართოონ კონფლიქტი ინდოჩინეთში და განაგრძობენ მზადებას ახალი ომებისათვის. ამ პოლიტიკას მკაცრად გმობენ ხალხები, რომლებიც დიდ იმედებს ამყარებენ ყენევის თათბირზე, რომლის წარმატებით მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული მშვიდობის აღდგენა აზიაში.

გამოხატეს რა საზოგადებრივი აზრის მოთხოვნა, სტოკჰოლმის კონფერენციის მონაწილეებმა თხოვნით მიმართეს ყენევის თათბირზე წარმოდგენილ მთავრობებს გააერთიანონ თავიანთი ღონისძიებანი ინდოჩინეთში ომის რაც შეიძლება მალე შეწყვეტისათვის და არ დაუშვან საომარი მოქმედების განახლება კორეაში.

არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს საზოგადებრივი აზრის ამ ხმას. კერძოდ, არავითარი ეჭვი არის, რა კონფერენციის მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი გვატემალის ამბებთან დაკავშირებით, რომელიც შეიცავს მოწოდებას უშიშროების საბჭოსადმი — „მიიღოს ყველა ღონისძიება საომარი მოქმედების შეწყვეტისა და ამისათვის, რომ აიძულოს შეჭრილი ჯარები უკან წავიდნენ და აღდგენილ იქნას მშვიდობის მდგომარეობა“, ყველა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე ხალხთა ფართო მხარდაჭერას ჰპოვებს.

საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების სტოკჰოლმის კონფერენციის გადაწყვეტილებებში დასმულია თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის უმნიშვნელოვანესი საკითხები და აღნიშნულია ყველა ხალხის ინტერესების სასარგებლოდ მათი გადაწყვეტის გზები. ამ გადაწყვეტილებათა განხორციელება შესაძლებელია და აუცილებელიც არის. ამას მოითხოვს ყველა ქვეყნის საზოგადოებრივი აზრი.

საბჭოთა ხალხი მხურვალედ უჭერს მხარს ახლახან დამთავრებული სტოკჰოლმის კონფერენციის გადაწყვეტილებებს. საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად იბრძვის საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, და ამაში მას საზღვარგარეთ მხარს უჭერენ მილიონიანი მასები, რომლებიც დაინტერესებული არიან მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებით.

„პრავდის“ 25/VI მოწინავე

3. მ. მოლოტოვმა მიიღო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ნამ ირი

25 ივნისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ნამ ირი, რომელიც ჟენევიდან მომავალი გზად იმყოფება მოსკოვში. (საკდესი).

აბრეშუმის პარკის ჩაბარების გეგმის შესრულება

ცხაკაიას რაიონის სოფელ უშაფათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ გაზაფხულის გამოკვების აბრეშუმის პარკის ჩაბარების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.400 კილოგრამისა სახელმწიფოს ჩაბარა 2.547 კილოგრამი აბრეშუმის პარკი.

ჩვენს დიად სამშობლოში

ასტრახანი. ს. მ. კიროვის სახელობის გემთსაშენი ყოველწლიურად ზრდის საზღვაო ბუქსირების გამოშვებას კასპიის ზღვის მებადურებისათვის. **სურათზე:** ახალი საზღვაო ბუქსირები გემთსაშენის ნავმისადგომთან.

ფოტო ა. ზალატინისა.
(საკდესის ფოტოქრონიკა).

ახალგაზრდა ქალაქი ნევაზე

ლენინგრადი (ლენინგრადის ოლქი), 24 ივნისი. (საკდესი). იქ, სადაც ათ წელიწადზე მეტი ხნის წინათ გაფორებული ბრძოლები წარმოებდა, ს. მ. კიროვის სახელობის დაბის გაჩენაგებულ მიწაზე აშენდა ენერგეტიკოსთა ახალი ლამაზი ქალაქი. აქ არის აგრეთვე დუბროვკის საწარმოო კომბინატი, რომელიც ამზადებს სამშენებლო დეტალებს, ჩარხებსა და მექანიზმებს. ერთი წელი არც კი არის, რაც დაბა გადაკეთდა რაიონული დაქვემდებარების ქალაქად და ეწოდა კიროვსკი.

ახალგაზრდა ქალაქის სწორ, მოასფალტებულ ქუჩებზე, რომლებიც დამშვენებულია ახლად გაშენებული ხეივნებით, ჩამწკრივებულია ლამაზი საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობები. ქალაქში არის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ბევრი საწარმო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულება.

ნევის მაღალ ნაპირზე გამოირჩევა კულტურის სახლის დიდებული შენობა. აქ უჩვენებენ სპექტაკლებს ლენინგრადისა და სხვა ქალაქების თეატრები.

საყურადღებო ღონისძიება

ლენინგრადი, 22 ივნისი. (საკდესი). კიროვის სახელობის ქარხნის „ელექტროსილას“ გამომგონებელმა ი. დანილოვმა შექმნა განივსარანდავი ჩარხის სუპორტის ორსაჭრისიანი თავის აღარაფერი ეტიქტა. სამარჯვის საშუალებით მოისპო საჭრისთა ფუჭი სვლა და შესაძლებელი გახდა ლითონის ორმხრივი რანდვა.

სიახლემ დიდი შესაძლებლობანი დასახა ჩრანდავთა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. ქარხანა „ელექტროსილაში“ ორსაჭრისიანი სამარჯვებით აღჭურვილია ხუთი სარანდავი ჩარხი. დეტალების მიღება ერთთორად გადიდდა.

ლენინგრადის სამეცნიერო-ტექნიკური პროპაგანდის სახლი უშვებს დასურათებულ პლაკატებს ი. დანილოვის კონსტრუქციის სარანდავი ჩარხის ახალი საჭრისის აღწერითა და ნახაზებით.

ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲬᲧᲕᲐ

ჩვენი ქვეყნის მანქანა-ტრაქტორთა სადგურები იღებენ საკოლმეურნეო მინდვრების მოსარწყავ ახალ მანქანებს — დდპ-30 მარკის შორსმასხურებელ საწვიმებლებს. მანქანა შექმნა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა.

საწვიმებელს ამაგრებენ დტ-54 მარკის ტრაქტორს და იგი რწყავს ნათესებს დროებითი სარწყავი არხებიდან. მორწყვა ხორციელდება ტრაქტორით მომუშავე ცენტრიდანული ტუმბოს საშუალებათ. მისი მოქმედების დროს ჩნდება ძლიერი წვიმა, რომელიც რწყავს ნათესებს 60 მეტრი რადიუსით. გადადის რა ერთი პოზიციიდან მეორეზე, არხის გაყოლებით, მანქანა საათში რწყავს 0,3 ჰექტარს და ჰექტარზე საშუალოდ 300 კუბურ მეტრ წყალს ხარჯავს. ყოველ წამში მინდვრებს ესახურება 30 ლიტრი წყალი. აგრეგატს ეშსახურება ერთი ტრაქტორისტი.

1954-1955 წლებში მრეწველობა მტს-ებისათვის დაამზადებს 5 ათას ასეთ საწვიმარს.

წლევანდელ ზაფხულში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე მოეწყობა ახალი მანქანების გამოცდა ბოსტნეულის, ბამბისა და სხვა კულტურების მოსარწყავად. წარმადობის მხრივ ისინი ერთისამად და ერთაოთხად აღემატებიან დდპ-30 მარკის აგრეგატებს და წამში იძლევიან 100 ლიტრამდე წყალს. სეზონის განმავლობაში ყოველ ასეთ მანქანას შეუძლია რამდენჯერმე მორწყას 150-200 ჰექტარი მინდორი.

გარდა საწვიმებელი მანქანებისა, გამოცდიან აგრეთვე ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კონსტრუქციის სარწყავ მანქანას. ეს მანქანა მუშაობის დროს წყალს იღებს ღია სარწყავებიდან, რომლებიც გაჰყავთ სპეციალური თხრილგამავნებით, და წამში 200 ლიტრამდე წყალს აწვდის მინდვრებს.

(საკდესი).

მტს-ᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲧᲐᲛᲘᲠ ᲛᲘᲬᲔᲑᲖᲔ

ᲙᲣᲡᲢᲐᲜᲐᲘ, 23 ივნისი. (საკდესი). ყამირი მიწების ათვისების რაიონებში გაჩაღებულია მანქანა-ტრაქტორთა სადგურების დიდი მშენებლობა. მთელი რიგი მტს-ები სამრეწველო საწარმოებს აშენებენ.

ნადეჟდინსკის მტს-ის მშენებლობაზე იყენებენ ლითონკონსტრუქციებს, რკინაბეტონის ფილებს, კოჭებსა და შესაკრავებს, რომლებიც კეთდება კუსტანაიში და დამზადებული მიაქვთ მტს-ებში.

მშენებლობას წარმატებით აწარმოებენ სხვა მტს-ებიც. ფართოდ იყენებენ ადგილობრივ მასალას — აგურს, ქვას, ლელს. რკინიგზის ხაზების ახლომდებარე მტს-ები შენობების აგების დროს წიდას იყენებენ.

ახლა ოლქის მტს-ებში კაპიტალური მშენებლობის მოცულობა 14-ჯერ დიდდება.

კისლოვოდსკი. კავკასიის მინერალური წყლების კურორტებზე დღითიდღე იზრდება დამსვენებელთა ნაკადი საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან. **სურათზე:** ცენტროსოიუზის კისლოვოდსკის სანატორიუმის მთავარი კორპუსი.

ფოტო ბ. მიასნიკოვისა.
(საკდესის ფოტოქრონიკა).

მოძმე რესპუბლიკების მსახიობები კიევის სცენაზე

ᲙᲘᲔᲕᲘ, 24 ივნისი. (საკდესი). გუშინ კიევის ტ. გ. შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში წარმოადგინეს რუბინშტეინის ოპერა „დემონი“. დემონის პარტია წარმატებით შეასრულა ბელორუსიის ოპერის თეატრის სოლისტმა ბელორუსიის სსრ სახალხო არტისტმა ვორვულევმა. ბელორუსი მომღერალი შეასრულებს აგრეთვე ელრმონის როლს ვერდის ოპერა „ტრავიატაში“.

უკანასკნელ ხანს კიევის ოპერის სპექტაკლებში ხშირად მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის საოპერო და საბალეტო ხელოვნების ოსტატები. კიეველებში დიდი ინტერესი გამოიწვია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტის სსრ კავშირის სახალხო არტისტის ამირანაშვილის გამოსვლებმა. მან შეასრულა ბოგდან ხმელნიცკის პარტია დანკევიჩის ამავე სახელწოდების ოპერაში. ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ონეგინში“ და ვერდის ოპერა „ტრავიატაში“ გამოვიდა სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტი რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ნორკოვი. ჩაიკოვსკის ბალეტ „გედის ტბაში“ ოდეტა-ოდილიას როლი შეასრულა სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტმა რუსეთის სფსრ დამსახურებულმა არტისტმა ბლისეცკაიამ.

ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐᲜᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘᲗ

ᲙᲘᲔᲕᲘ, 24 ივნისი. (საკდესი). უკრაინის ათასობით მშრომელი — ავტომანქანის მფლობელი — ყოველწლიურად შვებულების დროს მოგზაურობს საბჭოთა კავშირში.

მსუბუქ ავტომანქანათა 250-მდე მფლობელს აერთიანებს კიევის ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის ავტომოტოკლუბის ტურისტული სექცია.

ავტომოტოკლუბი საჭირო დახმარებას უწევს მოგზაურ ავტომობილისტებს. აქ ისინი იღებენ კონსულტაციებს ავტომობილის ტარებისა და ექსპლოატაციის საკითხებზე, აზუსტებენ მოგზაურობის მარშრუტებს, ბენზინის ჩასხმის ადგილებს, გზების მდგომარეობას.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

მუშენებლობა მდინარე ხუაიხეზე

შანხაი. (საკდესი). როგორც დღეს გაზეთი „ძეფანქიბაო“ იუწყება, მაისში დამთავრდა ამა წლის გაზაფხულის სეზონისათვის დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები მდინარე ხუაიხეზე. ამ ხნის მანძილზე, წერს გაზეთი, წესრიგშია მოყვანილი 22 არხი, დამთავრდა რამდენიმე კაშხალისა და ჯებირის მშენებლობა, აგრეთვე დამთავრდა საირიგაციო სამუშაოები ჯაუნტაიში და მებამბეობის რაიონებში. მთავრდება მდინარე ხუაიხეს ზემო და შუა წელში მოთავსებული ბოშანისა და ფოძელინის წყალსაცავთა მშენებლობა, გრძელდება ნანკანისა და მეიშანის წყალსაცავების სამუშაოები.

ამ გაზაფხულზე აღნიშნულ მშენებლობებზე მუშაობდა 700 ათასამდე ადგილობრივი გლეხი, რომლებმაც შეასრულეს 63 მილიონი კუბური მეტრი მიწისა და ქვის სამუშაოები.

ᲐᲮᲐᲚ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲨᲘ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 24 ივნისი. (საკდესი). პოლონეთის ყველა რაიონში დიდი სამრეწველო მშენებლობა მიმდინარეობს.

სახალხო მშენებლობის წლების მანძილზე პოლონეთში აშენდა 320-მდე ახალი სამრეწველო საწარმო, რეკონსტრუირებული და გაფართოებულია თითქმის 150 საწარმო, აღდგენილია 250 ფაბრიკა და ქარხანა. შეიქმნა და წარმატებით ვითარდება მრეწველობის ახალი დარგები: გემთმშენებლობა, ტრაქტორთმშენებლობა, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, ავტომობილმშენებლობა, მძიმე ჩარხების მშენებლობა.

ექვსწლიანი გეგმის პირველი 4 წლის განმავლობაში ამუშავდა დიდი სამრეწველო ობიექტები, მათ შორის ორი ბრძოლა, ფოლადსადნობი და მილსაგლინავი სამჭიროები ჩენსტოხოვის ბოლესლავ ბერუტის სახელობის ქარხანაში, პოლონეთში უდიდესი ჰიდროელექტროსადგური დიხოვში, თბოელექტროსადგურები „იავოუნო-1“, „იავოუნო-2“, ცემენტის ქარხნები „ოდერი“, „ვეეიცა“ და „რეიოვეცი“, სავატომობილო ქარხნები ვარშავასა და ლიუბლინში და სხვა საწარმოები.

წელს მწყობრში ჩადგება ვ. ი. ლენინის სახელობის „ნოვაია გუტას“ მეტალურგიული კომბინატის პირველი რიგი, თბოელექტროცენტრალი ვარშავაში და სხვ.

დიდი ყურადღება ექცევა მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა მშენებლობას. უკანასკნელ წლებში აშენდა ათობით საფეიქრო ფაბრიკა, აგრეთვე შაქრის ქარხნები და გემოკვებისა და დამმუშავებელი მრეწველობის სხვა საწარმოები.

სამრეწველო მშენებლობაში პოლონეთს დიდ დახმარებას უწევს საბჭოთა კავშირი. ამჟამად სსრ კავშირის დახმარებით წარმოებს თითქმის 60 დიდი სამრეწველო ობიექტის მშენებლობა, რომლებიც უახლესი საბჭოთა მოწყობილობითა და მანქანებით აღჭურვილნი იქნებიან.

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲜᲘ

ᲞᲠᲐᲰᲐ, 24 ივნისი. (საკდესი). ოსტრავა-კარვინის აუზის მაღაროელთა კოლექტივმა, რომელიც რესპუბლიკის ქვანახშირის მთელი ამოღების 80-მდე პროცენტს აძლევს, დიდი საწარმოო გამარჯვება მოიპოვა. მან დაწესებულ ვადაზე ათი დღით ადრე შეასრულა ნახევარი წლის გეგმა. ამ წარმატებას მეშახტეებმა მიაღწიეს შრომის ახალი მეთოდების გამოყენებისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის X ყრილობის აღსანიშნავად ფართოდ გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების მეოხებით.

დიდი აღმავლობით მუშაობენ აგრეთვე ჩრდილოეთ ჩეხეთის მურა ქვანახშირის აუზის მეშახტეები. ამ აუზის მეშახტეებმა ვალდებულება იკისრეს წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით ამოიღონ მილიონნახევარ ტონაზე მეტი ქვანახშირი.

ᲒᲣᲨᲐᲠᲔᲡᲢᲘᲡ ᲐᲒᲠᲝᲜᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ

ᲒᲣᲨᲐᲠᲔᲡᲢᲘ, 24 ივნისი. (საკდესი). ბუქარესტის აგრონომის სახლი, რომელიც შარშან შეიქმნა, ფართოდ ავრცელებს აგრობიოლოგიური მეცნიერების უახლეს მიღწევებს და სოფლის მეურნეობის მოწინავე გამოცდილებას. სახლთან გახსნილია მოკლევადიანი კურსები. ეს კურსები უკვე დაამთავრა ათასზე მეტმა კაცმა — სოლჭო და რაიონულ სასოფლო-სამეურნეო განყოფილებათა მუშაკებმა, მტს-ების დირექტორებმა, აგრონომებმა, მებაღეებმა და მეტყევეებმა. მათ მოისმინეს ლექციების კურსი, იყვნენ საცდელ სადგურებში მოწინავე მტს-ებსა და სახელმწიფო მეურნეობებში, შეხვდნენ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის საუკეთესო ოსტატებს.

მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების, სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერ თანამშრომელთა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დახმარებით აგრონომის სახლი აწყობს გამოცდილების გაზიარებას სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს შორის.

დღეს გამოფენაზე

მოსკოვი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ტერიტორია დღითიდღე უფრო კეთილმოწყობილი, უფრო ლამაზი ხდება. საითაც უნდა გაიხედო, ყველგან მუშაობაა გაჩაღებული. სულ უფრო ფართოვდება გამოფენის ტერიტორიის მწვანე სამოსი, მატულობს რიცხვი ლამაზი ქვის მოაჯირშემოვლებული გაზონებისა. ამოწმებენ შადრევნებს, წესრიგზე მოჰყავთ განათების ქსელი.

გაცხოველებული მუშაობაა გამოფენისაკენ — ამ აყვავებული ქალაქ-ბაღისაკენ მიმავალ გზებზეც. ამ გზებით მიდის გამოფენაზე ნაკადი სულ სხვადასხვა ტვირთებისა, რომლებიც ჩამოაქვთ მატარებლებით, თვითმფრინავებით, ავტომანქანებით ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყველა კუთხიდან. ეს ტვირთები აუარაცხელი ექსპონატები როგორც სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა, ისე მათი გადამუშავებული პროდუქტებისა, რომლებსაც ჩვენი ქვეყნის სამრეწველო საწარმოები უშვებენ.

პავილიონებში ნახავთ ძნებსაც, თესლსაც, მარცვალსაც, ტექნიკურ კულტურებსაც, აქვეა ცხოველები, ბეწვეული, ტყავი და ტყავის ნაკეთობანი, კონსერვები, ჩირი, ღვინოები. გამოფენაზე ჩამოაქვთ აგრეთვე ხალხური შემოქმედების ნაწარმოებნი — ხალიჩები, ფაიფურის ნაწარმი, კერამიკა, ხის ნაკეთობანი.

ყოველდღე მოდის სხვადასხვა მანქანები. რომლებსაც ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში, კერძოდ ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებისათვის იყენებენ.

ამ დღეებში გამოფენაზე კოსტრომის ოლქიდან ჩამოიყვანეს კოსტრომული ჯიშის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯოგი, იაროსლავლის ოლქიდან — იაროსლავური ჯიშის ძროხები; ჩამოიყვანეს მარალები და ხალიანი ირმები ალტაის მხარიდან, ჩრდილოეთის ირმები მურმანსკის ოლქიდან.

ისევე როგორც გამოფენის მთელ ტერიტორიაზე, დიდი მუშაობა წარმოებს საქართველოს სსრ პავილიონშიც.

როგორ გამოიყურება დღეს საბჭოთა საქართველოს პავილიონი?

უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ მოსკოვში გააშენეს ჩაი. ჩაის ბუჩქები იმ ნიადაგის ფენასთან ერთად, სადაც ისინი იზრდებოდნენ, თავის დროზე საქართველოდან გადაიტანეს მოსკოვში, სადაც მათ ახალი სამშობლო ჰპოვეს. სიცივის პერიოდში ჩაის პატარა პლანტაციას სათუთად უვლიდნენ სპეციალურად მოწყობილ ფარდულში, რომელსაც ათობობდნენ. როცა დათბა, ფარდული დაშალეს და ჩაის გორაკი გაათავისუფლეს. ახლა აქ ვეგეტაცია მიმდინარეობს. ბუჩქებზე ბევრი დუღაა.

პავილიონთან ხეხილის პატარა ბაღიც არის. აქ უკვე დაიყვავილა ვაშლმა, მსხალმა, ქლიავმა, ხურმამ, ლეღვმა, შინდმა, ზეთისხილმა, ატამმა, ახლა ჰყვავის კომშა.

აი ვენახიც. იმასთან დაკავშირებით, რომ გაზაფხულმა და ზაფხულმა წელს დიდად დაიგვიანა, ვაზების ნაწილი ჩარჩოებს ქვეშ არის. აქ ვაზები თბილად არის და უკვე დიდი ფოთლები აქვს.

საქართველოს სსრ პავილიონის ხელმძღვანელება საუბარში გვიამბობენ, თუ რა კეთდება დღეს პავილიონში. მთავრდება შენობის რემონტის სამუშაოები (შელესვა და შეღებვა). წესრიგზე მოჰყავთ პავილიონის ტერიტორია. სულ უფრო ნათელი ხდება და მშვენდება ორანჟერია. მთავრდება საქვაპრობის ორიგინალური, ბამბუკით მოპირკეთებული სავაჭრო პავილიონის მშენებლობა.

ერთ-ერთ დარბაზში მუშაობა დამთავრდა, ორ დანარჩენში დაჩქარებით მიმდინარეობს. მთავრდება ჭალების რემონტი.

უახლოეს დღეებში პავილიონი მიიღებს ისეთ ხეებს, როგორიც არის დრაცენა, ევკალიპტი, ბამბუკი.

მოსავლის აღების ჩვენი სამუშაო გეგმა

დადგა სამეურნეო წლის გადამწყვეტი პერიოდი. ჩვენი გადაუდებელი მთავარი ამოცანა ამჟამად პურეულის მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებაა. ასაღები გვაქვს 542 ჰექტარი, აქედან ხელით 80 ჰექტარი. წელს ხორბლის მოსავლიანობა გაცილებით მეტია, ვიდრე შარშან. თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მივიღებთ 22 ცენტნერზე მეტს, გასულ წელს კი 18,6 ცენტნერი მივიღეთ. ცალკეულ ნაკვეთებზე უფრო მეტ მოსავალს ველით. მაგალითად, მეექვსე ბრიგადის 50 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანთ 30 ცენტნერს. შევადგინეთ მოსავლის აღების კონკრეტული გეგმა, რომლის შედგენაში მონაწილეობა მიიღეს გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრებმა, ბრიგადირებმა, მოწინავე კოლმეურნეებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა. ეს გეგმა განვიხილეთ კოლმეურნეთა საერთო კრებაზე, რომელსაც ესწრებოდნენ აფენის მტს-ის წარმომადგენლები.

შრომითი რეზერვები და მისი გამოყენება

ჩვენი კოლმეურნეობა აერთიანებს 543 კომლს. პურის მკაში შვიდას კაცზე მეტი მიიღებს მონაწილეობას. მოსავლის აღებაზე იმუშავებს 8 ბრიგადა. აგრეთვე დიდ დახმარებას გაგვიწევს კოლმეურნეობის სამჭედლო, სადაც 6 კაცი მუშაობს; პურეულის გადაზიდვა მოხდება მინდვრებიდან უშუალოდ საწყობებამდე და აქედან ავტომანქანებით დამამზადებელ პუნქტებამდე. ამ საქმისათვის გამოყოფილია 4 ავტომანქანა. კალოზე პურის გაწმენდა მექანიზებულია. 2 სანიავებელი მანქანა იმუშაებს სპეციალური ძრავით და დღეღამეში გაწმენდს 30 ტონა ხორბალს. ამას გარდა იმუშავებს 50 ურემი, 8 ფორანი. ისინი მოემსახურებიან კომბაინებს, გამოიტანენ გამოლეწილ ნამჯას და დაზვინავენ.

ძალების განაწილება, შრომის ორგანიზაცია

მოსავლის აღებაზე იმუშავებს კომბაინერ ვლადიმერ ყაველაშვილის აგრეგატი. ამ კომბაინერმა ვალდებულება იკისრა ჩვენს კოლმეურნეობაში „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით მომკას 400 ჰექტარი. იგი ჩამბულია კომბაინერთა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და იბრძვის დიდი მოსავლის მიღებისათვის. პურეულის მკაში მონაწილეობას მიიღებს 256 კაცი და 94 ქალი, აგრეთვე 355 დამხმარე მუშა და მოსწავლე. 80 ჰექტარზე ხელით მკაზე იმუშავებს 197 კაცი. დღეში საშუალოდ აიღებთ 12,5 ჰექტარს, თავთავის აკრეფაზე იმუშავებს 176 კაცი, კომბაინების საწვავითა და წყლით უზრუნველყოფაზე — 16 კაცი, მარცვლეულის გაშრობა-გასუფთავებაზე — 8 კაცი, გამოლეწილი ნამჯის გამოტანა-დაზვინვაზე — 24 კაცი. შეძენილი გვაქვს 500 ტომარა. ხელით აღებისათვის საჭირო 197 ნამგალი მზად არის, შემოთიბვისათვის გვაქვს ცელებიც. ხელით აღებაზე იმუშავებენ გამოცდილი კოლმეურნეები პ. ბარბაქაძე, დ. ჩუბინიძე, ს. მამულაშვილი, ს. ბრეგვაძე, ი. ჩარანიძე და სხვ.

მოსავლის დასაცავად გამოყოფილია მევალეები: შ. სამყურაშვილი, ს. ცუცქირიძე, გ. რეხვიაშვილი, ტ. გიგოლაური.

გეგმაში გათვალისწინებულია თვითეული კოლმეურნე რა სამუშაოს შეასრულებს და სად მოუხდება მუშაობა. მაგალითად, კომბაინზე იმუშავებენ პირველი ბრიგადიდან — შ. ქათამაძე, გ. რობაქიძე; მეორე ბრიგადიდან — მ. ბრეგვაძე, ელენე ჭიღლაძე; მესამე ბრიგადიდან — თამარ შეყილაძე, ეუეუნა გაფრინდაშვილი; მეოთხე ბრიგადიდან — ს. ჯაჯანიძე, დარიკო მოდებაძე; მეხუთე ბრიგადიდან — ლ. მეტრეველი, ი. მოდებაძე; მეექვსე ბრიგადიდან — დ. ჩუბინიძე, გ. ბოხაშვილი; მეშვიდე ბრიგადიდან — თ. ყაველაშვილი, გ. რეხვიაშვილი; მერვე ბრიგადიდან — კ. მიშველიძე, გ. კვეღლიშვილი.

კომბაინების მუშაობის გეგმა — მარშრუტი კარგახანია შედგენილია. კომბაინერი იმუშავებს საათობრივი გრაფიკით. ხორბლის დაცლა იწარმოებს კომბაინის შეუჩერებლად. კომბაინიდან მარცვლეულის გადაზიდვა-დაცლაზე იმუშავებენ ი. გეწაძე, გ. ნადირაძე, ა. ყაველაშვილი, გ. კოჭლამაზაშვილი, ა. ჯაჯანიძე, ს. ღავთაძე, მ. შეყილაძე, ვ. რეხვიაშვილი, მ. კავთელაძე და სხვები, აღირიცხება კომბაინის ყოველდღიური და საათობრივი ნამუშევარი. მარცვლეული პირველად აიწონება საველე კალოზე, შემდეგ საწყობში გადაზიდვის მომენტში და მესამედ საწყობში ჩაბარების დროს. კალოებთან მარცვლეულის გაწმენდა-გასუფთავებაზე გამოყოფილი არიან ვ. კაპანაძე, ი. გაფრინდაშვილი, ვ. წიწილაშვილი, თ. ბარბაქაძე, ვ. გურული, ნ. შუბითიძე, სულ რვა კაცი.

კოლმეურნეობას 1.000 ტონის ტევადობის კაპიტალური საწყობი აქვს. იგი ყოველმხრივ მზად არის.

პირველი განალეწი პური სახელმწიფოს

მოსავლის აღების დაწყებიდანვე გავიჩაღებთ პურის ჩაბარებას.

„ზაგოტზერნოს“ წნორის ბაზაში გადაზიდვა-ჩაბარებაზე იმუშავებენ გ. ქათამაძე, დ. ბრეგვაძე, გ. გაფრინდაშვილი, ე. სამხარაძე, ა. მოდებაძე, ს. გოგრიჭიანი, შ. მეტრეველი, გ. კვეღლიშვილი. ამ საქმისათვის პასუხისმგებელ პირად გამოყოფილია ნ. ბრეგვაძე. ავტომანქანების მძღოლებად არიან: ა. რეხვიაშვილი, ს. ბარბაქაძე, ა. ბრეგვაძე, ვ. მოდებაძე. მარცვლეულის გადაზიდვას მოვაწყობთ როგორც დღისით, ისე ღამით.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა

მკის, ლეწვისა და პურის დამზადების დღეებში მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას სათავეში ჩაუდგება კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია. კოლმეურნეობაში 49 კომუნისტი და 20-ზე მეტი კომკავშირელია. ყველანი საჭირო უბნებზე არიან. პარტიულმა ორგანიზაციამ მოსავლის აღებისათვის მზადების საკითხი განიხილა მიმდინარე წლის 8 ივნისს და დასახა სათანადო ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, მინდვრად მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გასაჩაღებლად.

კოლმეურნეობაში გამოყოფილია 17 აგიტატორი. ისინი სააგიტაციო საუბრებს მოაწყობენ ბრიგადებში, კომბაინის აგრეგატთან და ცალკეულ ობიექტებზე, სადაც წყდება მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღების ბედი. კოლმეურნეობის კედლის გაზეთი „კოლმეურნის ხმა“ მოსავლის აღების პერიოდში გამოვა ყოველ ათ დღეში ერთხელ, ხოლო მინდვრად თვითეულ ბრიგადაში და კომბაინის აგრეგატთან ყოველდღიურად გამოვა საბრძოლო ფურცლები, რომლებშიც ნაჩვენები იქნება ერთი დღის ნამუშევრის შედეგები: ვინ დაწინაურდა, ვინ ჩამორჩა.

მინდვრად ბრიგადებში ყოველდღიურად იქნება ახალი გაზეთები, საინტერესო პლაკატები, ლოზუნგები. მოეწყობა კინოსეანსების ჩვენება, კონცერტები, ლექციები.

წელს უკეთესად მოვაწყეთ სადისპეტჩერო სამსახური. ყოველ საჭირო შემთხვევაში შესაძლებლობა გვექნება დავუკავშირდეთ ამა თუ იმ სატრაქტორო ბრიგადას, კომბაინერს, გავიგოთ რა წარმატება აქვს, რა დახმარება ესაჭიროება. გადაცემა ისე გავაუმჯობესეთ, რომ შესაძლოა მინდვრიდან ველაპარაკოთ ხელმძღვანელ ამხანაგებს რაიონში.

კოლმეურნეებმა შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს და გადაწყვიტეს 25 ივლისი გამოაცხადონ მოსავლის აღების, სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმის შესრულების ზეიმად. ამ დღეს მოეწყობა კულტურული დასვენება, გართობა, კონცერტი, ფიზკულტურული კოლექტივების გამოსვლები. აქვე მოხდება სოციალისტური შეჯიბრების შედეგების გაცნობა, გამარჯვებულთა სახელო დაფაზე შეტანა, შეჯიბრებაში დაწინაურებულ ბრიგადებს გადაეცემა კოლმეურნეობის წითელი დროშა წარწერით: „მოსავლიანობის გადიდებასა და პურეულის აღებაში გამარჯვებულ ბრიგადას“.

არ დავზოგავთ ენერგიას იმისათვის, რომ მოსავალი ავიღოთ მოკლე ვადაში და უდანაკარგოდ, ჩვენს სახელმწიფოს მივცეთ მაღალხარისხოვანი ხორბალი და თავდადებით ვიბრძოლოთ მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებათა სასახელოდ შესრულებისათვის.

ი. ყაველაშვილი — ლაგოდეხის რაიონის სოფელ ჭაბუკიანის ი. ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;
ა. ცქიფურიშვილი — პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანი; **ი. ქათამაძე** — მტს-ის აგრონომი კოლმეურნეობაში;
ვ. მჭედლიძე — კომკავშირის კომიტეტის მდივანი; **დ. თაბაბარი** — ბრიგადირი; **ვ. ყაველაშვილი** — ლენინის ორდენოსანი კომბაინერი.

მზის სრული დაბნელების დღისათვის

ლაგოდეხი. (საეც. კორ.). საბჭოთა ასტრონომების მთელი ყურადღება მიპყრობილია მზის სრული დაბნელებისადმი — ამ უდიდესი მნიშვნელობის მოვლენისადმი, რომელიც მოხდება 30 ივნისს. მზის სრული დაბნელების ორბიტაში მოექცევა ლაგოდეხის რაიონი. ამიტომ ეს მეცნიერთა დიდ ინტერესს იწვევს.

ახლა გაცხოველებული მზადება მიმდინარეობს ამ დღისათვის. აქ ჩამოვიდა ლენინგრადის უდანოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური ფაკულტეტისა და ფიზიკური ინსტიტუტის ექსპედიცია, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფესორი ს. როდიონოვი. ეს ექსპედიცია კომპლექსურია. მის მუშაობაში მონაწილეობას იღებს უნივერსიტეტის რამდენიმე კათედრა.

ექსპედიციამ ნაკრძალში დადგა ორიგინალური კონსტრუქციის აპარატები.

თუ რა გავლენას მოახდენს მზის დაბნელებით გამოწვეული მოვლენები ცხოველებზე, ფრინველებზე, მწერებზე, — ამის შესასწავლად ჩამოვიდა საქართველოს სსრ ზოოლოგიის ინსტიტუტის ექსპედიცია. 30 ივნისისათვის აქ კიდევ ჩამოვა მრავალი მეცნიერი მუშაკი და ექსპედიცია. მათ შექმნილი აქვთ ყველა პირობა ნორმალური მუშაობისათვის.

სვედენგების საწარმოო პრაქტიკა

ქუთაისი, 23 ივნისი. (საქდესი). ამ დღეებში ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში საწარმოო პრაქტიკაზე ჩამოვიდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა ჯგუფი. ისინი საწარმოო პრაქტიკას გადიან ძრავას სიჩქარეთა კოლოფის, ძრავას აწყობა-საგამოცდო და სხვა საამქროებში.

ქარხანაში საწარმოო პრაქტიკაზე იმყოფებიან აგრეთვე სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტები.

ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში პირველი ივლისიდან საწარმოო პრაქტიკაზე ჩამოვლენ მომავალ რესპუბლიკების — ბაქოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, კიროვაბადის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, ერევნის კ. მარქსის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის, სომხეთის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები.

ექსპონატები სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის

ბათუმი. (საკ. კორ.). ფანერის ქარხნის კოლექტივმა მიიღო დავალება სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქართველოს პავილიონისათვის დაამზადოს საქართველოს მცენარეთა იმ ჯიშების ნიმუშები, რომლებიც გავრცელებულია ჩვენს რესპუბლიკაში.

გასაგზავნ ექსპონატთა შორის იქნება ბზის, ხურმის, კაკლის ხის, მუხის, ბლის, ფიჭვის, ნაძვის, სოჭის და სხვა ჯიშების ნიმუშები.

კავკასიური ჯიშების კოლექციის შესავსებად საქართველოს რაიონებში გაგზავნილი არიან სპეციალისტები.

90 ათასი ფრთა წიწილა

თელავი. (საკ. კორ.). თელავის საინკუბატორო სადგურში წელს 90.000 ფრთა წიწილა გამოიჩეკა. აქედან თელავისა და ახმეტის რაიონების კოლმეურნეობებმა 75.000 ფრთა წაიყვანეს, დანარჩენი კი კოლმეურნეებსა და მუშა-მოსამსახურეებს მიეცა. საინკუბატორო სადგური მუშაობას განაგრძობს.

შალაურის კოლმეურნეობამ სამი ათასი ფრთა წიწილა მიიღო, კონდოლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ — ორი ათასი ფრთა და ა. შ. წიწილების გაზრდა ყველაზე უკეთესად ლალისყურის კოლმეურნეობამ მოაწყო. აქ მიღებული ათასი ფრთა წიწილადან 950 ფრთა გაზარდეს.

გვაგვემალის მთავრობის მიმართვა და საბჭოთა მთავრობის პასუხი

მიმდინარე წლის 24 ივნისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა შემდეგი დეპეშა მიიღო გვატემალის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ გ. ტორიელიოსაგან:

„გვატემალიდან, 23 ივნისი,
სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს
მოსკოვი

პატივი მაქვს ვაცნობო თქვენს აღმატებულებას, რომ, მიუხედავად გადაწყვეტილებისა, რომელიც ამა წლის 20 ივნისს ერთხმად მიიღო უშიშროების საბჭომ, და რომლითაც გათვალისწინებულია დაუყოვნებლივ შეწყდეს ყველა მოქმედება, რომელსაც შეუძლია სისხლისღვრა გამოიწვიოს, და წინადადება ეძლევა გაერთიანებული ერების წევრ ყველა სახელმწიფოს თავი შეიკავონ იმ დაქირავებული ჯარების ასეთი მოქმედებისათვის ხელის შეწყობისაგან, რომელნიც ჰონდურასის რესპუბლიკის ტერიტორიიდან გვატემალაში შემოიჭრნენ, აგრესია დღემდე არ შეწყვეტილა. პირიქით, როგორც ეს ჩემმა მთავრობამ უკვე განუცხადა უშიშროების საბჭოს, ეს შეიარაღებული ძალები კვლავ იყენებენ აეროდრომებს ჰონდურასსა და ნიკარაგუაში, იღებენ ეფექტიან დახმარებას და სარგებლობენ უკანონო შეშფოთარებლობით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ ამ სახელმწიფოთა მთავრობების მხრივ.

სასწრაფოდ მოგმართავთ თქვენო აღმატებულებავ, რათა გაცნობოთ ეს სერიოზული მდგომარეობა და გთხოვთ, რომ თქვენმა პატივცემულმა მთავრობამ, რომელიც ყოველთვის მტკიცედ გამოდიოდა აგრესიის წინააღმდეგ და გაერთიანებული ერების პრინციპების დასაცავად, როგორც უშიშროების საბჭოს წევრმა, გაგვიწიოს თავისი კეთილი სამსახური და ისარგებლოს უფლებებით, რომლებიც მას მინიჭებული აქვს უშიშროების საბჭოს სტატუტით, იმისათვის, რომ ამ მაღალმა ორგანომ ახალ სხდომაზე გამოიყენოს თავისი ავტორიტეტი, რათა მიღწეულ იქნას უშიშროების საბჭოს ამა წლის 20 ივნისის გადაწყვეტილების შესრულება.

ვსარგებლობ შემთხვევით, რათა დაგარწმუნოთ ჩემს უაღრესად მაღალ და განსაკუთრებულ პატივისცემაში.

გილიერმო ტორიელიო,
საგარეო საქმეთა მინისტრი“.

25 ივნისს ვ. მ. მოლოტოვმა ბ-ნ გ. ტორიელიოს გაუგზავნა შემდეგი პასუხი:

„გვატემალა,
საგარეო საქმეთა მინისტრს
ბატონ გილიერმო ტორიელიოს

პატივი მაქვს დავადასტურო თქვენი აღმატებულების 23 ივნისის დეპეშის მიღება და გაუწყოთ, რომ სსრ კავშირის მთავრობა, რომელიც ღრმა სიმპათიის გრძნობით ეპყრობა გვატემალელ ხალხს, რომელიც იცავს თავისი სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, სრული ყურადღებით მოეკიდა თხოვნას, რომელიც მოყვანილია თქვენს დეპეშაში, და მისცა მითითება საბჭოთა წარმომადგენელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიიღოს მასზე დამოკიდებული ყველა ღონისძიება, რათა უზრუნველყოფილ იქნას უშიშროების საბჭოს ამა წლის 20 ივნისის გადაწყვეტილების შესრულება.

ვსარგებლობ შემთხვევით, რათა დაგარწმუნოთ ჩემს უაღრესად მაღალ და განსაკუთრებულ პატივისცემაში.

ვ. მოლოტოვი,
სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი“.

ახალი დებულება არმიისა და ფლოტის პირად შემადგენლობაზე კულტურული შეფობის შესახებ

კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ახალი დებულება არმიის, ფლოტისა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების პირად შემადგენლობაზე კულტურული შეფობის შესახებ.

ამ დებულებაში ნათქვამია, რომ ხელოვნების მუშაკებთან ერთად შეიარაღებულ ძალებთან საშეფო მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საკავშირო საზოგადოება, სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირი, სსრ კავშირის საბჭოთა კომპოზიტორების კავშირი, სსრ კავშირის საბჭოთა მხატვრების კავშირი, სამეცნიერო დაწესებულებები, სასწავლებლები.

კულტურის მუშაკები გამართავენ ლექციებსა და კონცერტებს, შემოქმედებითს ანგარიშებს, კინოფესტივალებს, დახმარებას გაუწევენ ოფიცერთა კლუბებისა და სახლების მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებს.

მწერლები, ჟურნალისტები, ბიბლიოთეკების მუშაკები მონაწილეობას მიიღებენ ჯარების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობაში, მკითხველთა კონფერენციებს, ლიტერატურული საღამოების მოწყობაში, აგრეთვე პრაქტიკულ დახმარებას გაუწევენ არმიისა და ფლოტის დამწყებ ლიტერატორებს.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკები რიგითი, სერჟანტთა და ზემდგომთა შემადგენლობისათვის მოაწყობენ ექსკურსიებს ნუზეუმებში, სამხატვრო გალერეებში, გამოფენებზე.

კულტურის მუშაკთა პროფკავშირის საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური კომიტეტებისათვის, რომლებიც კარგ შედეგებს მიაღწევენ კულტურულ-საშეფო მუშაობაში, დაწესებულია სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს, უმაღლესი განათლების სამინისტროსა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი პრიზები და წითელი დროშები.

კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან შექმნილია სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებზე შეფობის ცენტრალური კომისია. (საკდესი).

გავაუმჯობესოთ სოფლად წიგნით ვაჭრობა

მასების კულტურული დონის ამაღლების საქმეში მუდამ დიდ როლს ასრულებდა და ასრულებს წიგნი. ამიტომ წიგნის გავრცელების სანიმუშოდ მოწყობას უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. პარტიისა და მთავრობის დადგენილებები მთელი სერიოზულობით არის დაყენებული ლიტერატურის გავრცელების სწორი ორგანიზაციის საკითხი, მაგრამ, სამწუხაროდ, წიგნის პროპაგანდისა და სოფლად მისი გავრცელების საქმე ჩვენს რესპუბლიკაში ჯეროვან სიმაღლეზე ვერ გვაქვს დაყენებული. წიგნით ვაჭრობის სამმართველოს წიგნის ბაზაში და მის საწყობებში ჯერ კიდევ დიდი რაოდენობით არის დარჩენილი სხვადასხვა სახის ლიტერატურა, რომელზეც სოფლად დიდი მოთხოვნილებაა.

წიგნის გავრცელებაზე ჩვენს რესპუბლიკაში მუშაობენ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს წიგნით ვაჭრობის სამმართველო — „საქწიგნი“, „სოიუზპეჩატი“ და ცეკავშირი.

„საქწიგნი“ წიგნით ვაჭრობს ქალაქად და რაიონის ცენტრებში, ხოლო ცეკავშირი — სოფლად.

ცეკავშირი მოვალეა ყველა სოფელში შეიტანოს წიგნი და უზრუნველყოს მისი რეალიზაცია. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აქტივი, ტრაქტორისტები და კომბაინერები, აგრონომები, ზოოტექნიკოსები, მასწავლებლები და მოსწავლე ახალგაზრდობა, ექიმები და სოფლის დანარჩენი ინტელიგენცია — ეს არის სოფლად წიგნისმოყვარულთა მრავალრიცხოვანი არმია, რომელსაც ცეკავშირმა საჭირო მომსახურება უნდა გაუწიოს და უზრუნველყოს საჭირო წიგნებით. ცეკავშირი ვალდებულია კიდევ უფრო გააფართოოს წიგნით ვაჭრობის საქმე სოფლად. თუ 1953 წელს ცეკავშირს სოფლად უნდა შეეტანა 8 მილიონი მანეთის ლიტერატურა, 1954 წელს უნდა შეიტანოს 10 მილიონი მანეთისა. ცხადია, წიგნით ვაჭრობის გეგმების ასეთი ზრდა ცეკავშირის მუშაკებისაგან მოითხოვს სერიოზულ მუშაობას სოფლის მოსახლეობაში.

ცეკავშირმა 1953 წელს „საქწიგნის“ წიგნის ბაზიდან და ქალაქებისა და რაიონების წიგნის მაღაზიებიდან სოფლად შეიტანა 5.500 ათასი მანეთის ლიტერატურა, ნაცვლად 8 მილიონი მანეთისა. 1954 წლის 5 თვის გეგმა კი შეასრულა მხოლოდ 29 პროცენტით. გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია როგორც ცეკავშირის ცენტრალური აპარატის, ისე რაიკავშირთა მუშაკების უსულგულო დამოკიდებულებით წიგნით ვაჭრობის საქმისადმი. ყვარლის რაიკავშირმა წიგნის ბაზაში დააბრუნა რაღონის სკოლებისათვის საჭირო სახელმძღვანელოები. ზემდგომი ორგანოების ჩარევის შემდეგ მას უკან დაუბრუნდა სახელმძღვანელოები. ამ ოპერაციის შედეგად უკანონოდ დაიხარჯა სახელმწიფო თანხები; უფრო მეტიც. ზოგ რაიკავშირში მიღებული ლიტერატურა გაუხსნელი აწყვია საწყობში. 1949 და 1951 წლებში გამოცემული შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ლ. ტოლსტოის „აღდგომა“, დანიელ დეფოს „რობინზონ კრუზო“, ე. ზოლას „ფული“, ა. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდია“, დ. ბაქრაძის „გმირთა სისხლით“, ალ. ჭეიშვილის „ლელო“, პ. ლორიას „ნაირა“ და მრავალი სხვა წიგნი ხელუხლებლად ეწყო მარნეულის რაიკავშირის საწყობში. ასეთივე მდგომარეობა აღმოჩნდა კაჩრეთის რაიკავშირის საწყობშიც. მსგავსი შემთხვევები რაიკავშირების მუშაობაში იშვიათი როდია.

1953 წელს სოფლად ცეკავშირის ხაზით ახალი ლიტერატურა არ შეტანილა ახმეტის, სიღნაღის, ზესტაფონის, თელავის, მარნეულის, წითელწყაროს, ბოლნისის, ონის, ამბროლაურის და სხვა რაიონებში.

ასეთი არანორმალური მდგომარეობა ცეკავშირის ხაზით წელსაც გრძელდება. ცეკავშირის განაწილებით წიგნის ბაზიდან ბოლნისის რაიკავშირს 1954 წლის იანვარში გაეგზავნა ახალი მხატვრული ლიტერატურა, კომკავშირის პოლიტსკოლებისათვის დამხმარე ლიტერატურა, დაწყებითი სკოლის პროგრამები და სხვ. ვინაიდან ყუთებში მხოლოდ წიგნები აღმოჩნდა, ბოლნისის რაიკავშირმა არ შეამოწმა, თუ რა სახის ლიტერატურა ეწყო ამ ყუთებში და უკან დაუბრუნა ისინი. თუ ცეკავშირმა მომავალში ასე განაგრძო მუშაობა, იგი ვერ უზრუნველყოფს წიგნზე სოფლის მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

ჯერ კიდევ მოუგვარებელია სასკოლო სახელმძღვანელოების ბეჭდვისა და რეალიზაციის საქმე. მოკავშირე რესპუბლიკებს სასკოლო სახელმძღვანელოებზე განაცხადს უგზავნის საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, რომელიც ვალდებულია დააზუსტოს მოსწავლეთა კონტინგენტი და ამის შესაბამისად გამოითხოვოს სახელმძღვანელოები. იმის გამო, რომ განათლების სამინისტროში ზოგიერთი მუშაკი საქმეს ზერელედ ეკიდება, აზერბაიჯანიდან პეტრენკოს გერმანული ენის სახელმძღვანელო მეექვსე კლასისათვის ნაცვლად 1.350 ცალისა, გამოთხოვნილ იქნა 2.500 ცალი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ასეთი მოქმედება მძიმე ტვირთად აწვება „საქწიგნს“ და აუარესებს მის ფინანსურ მდგომარეობას, საგრძნობლად ზრდის წიგნების ნაშთს. განათლების სამინისტრო არასწორად განსაზღვრავს აგრეთვე ქართული სკოლებისათვის დასაბეჭდ სახელმძღვანელოთა რაოდენობას. მათ მიერ 1953 წელს ზედმეტად იქნა დაბეჭდილი ფრანგული ენის სახელმძღვანელო 11 ათასი ცალის რაოდენობით, ინგლისური ენის სახელმძღვანელო 8 ათასი ცალის რაოდენობით და ა. შ. ამავე დროს მთელი რიგი საგნების სახელმძღვანელოები ნაკლები. რაოდენობით არის დაბეჭდილი და მოსწავლეთა ნაწილი დარჩენილია უსახელმძღვანელოდ.

ჯერ კიდევ ცუდად მუშაობს სოფლად წიგნის გავრცელების საქმეში „სოიუზპეჩატი“. აღნიშნული ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ნაკლებ ინტერესს იჩენს წიგნით ვაჭრობისადმი და განსაკუთრებით ქართული წიგნის გავრცელებისადმი.

ლიტერატურის გავრცელებაში სერიოზულ ნაკლოვანებებში ბრალი მიუძღვით გამომცემლობებსაც. ზოგიერთი გამომცემლობა ჯერ კიდევ სუსტად იბრძვის სრულფასოვანი მხატვრული წიგნების გამოცემისათვის, წიგნის ხარისხისათვის, მისი გარეგნული გაფორმებისა და ტირაჟების სწორად განსაზღვრისათვის. გამომცემლობათა ზოგი ხელმძღვანელი ხშირად ანგარიშს არ უწევს მკითხველთა მზარდ მოთხოვნილებას საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებებზე, პოლიტიკურ, ეკონომიურ ლიტერატურაზე, სამეცნიერო-პოპულარულ წიგნებზე, საბავშვო ლიტერატურაზე და სხვ. ასეთი წიგნების გამოშვების ნაცვლად ზოგჯერ გამოდის უფერული, ნაკლები ღირსების ბროშურები და ვიწრო საუწყებო წიგნები, რომლებზეც მოთხოვნილება ძალიან მცირეა.

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა მიერ წაკითხული ლექციების სტენოგრამები 10 ათასი ცალის რაოდენობით იბეჭდება; ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელები ანგარიშს არ უწევენ იმას, თუ რამდენად აქტუალურია წიგნი. ამის შედეგად მათ მიერ გამოცემული ბროშურების უმრავლესობა უმოძრაოდ აწყვია წიგნის მაღაზიებში.

ლიტერატურის გავრცელება ხშირად იმის გამოც ფერხდება, რომ გამომცემლობები დროზე არ უშვებენ გეგმით გათვალისწინებულ წიგნებს, მაგალითად: ყოველთვის გვიან გამოდის ქართული კალენდრები; წელს მათი ბეჭდვა სახელგამმა 3 იანვარს დაიწყო. დიდად დაიგვიანა ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის ტომების, რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონებისა და სხვა წიგნების გამოცემამ. საერთოდ გამომცემლობები ხშირად ვერ ასრულებენ საგამომცემლო გეგმებს, და ყველაფერი ეს თავის დაღს ასვამს ლიტერატურის გავრცელების საქმეს.

ამოცანა ის არის, რომ გამომცემლობებთან და წიგნით მოვაჭრე ორგანიზაციებთან შეთანხმებული მუშაობით გადაჭრით გავაუმჯობესოთ ლიტერატურის გავრცელება, მტკიცედ დავნერგოთ წიგნის კულტურული ვაჭრობა, კარგად გავიცნოთ მკითხველთა მოთხოვნილება, შევძლოთ ამ მოთხოვნილების მაქსიმალურად დაკმაყოფილება.

წიგნის გავრცელების საქმეში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ სარაიონო, საქალაქო, საბავშვო, სასკოლო და სასოფლო-საკოლმეურნეო ბიბლიოთეკებმა, კლუბებმა და სხვა კულტურულმა დაწესებულებებმა. ამ საქმეს სათავეში უნდა ჩაუდგნენ რაისაბჭოების აღმასკომების კულტურის განყოფილებები.

სოფლად წიგნის გავრცელება მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების ღვიძლი საქმეა; ამ სამუშაოში უფრო ფართოდ უნდა ჩავაბათ მასწავლებლები, ექიმები, აგრონომები, მთელი ჩვენი ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი არმია. ამ მხრივ განსაკუთრებით ბევრი რამის გაკეთება შეუძლია კომკავშირს.

წიგნის პროპაგანდისა და გავრცელების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე წიგნის მაღაზიებისათვის კადრების შერჩევას. ცხადია, წიგნით ვაჭრობა დიდად განსხვავდება სხვა სახის ვაჭრობისაგან თავისი თავისებურებებით, მუშაობის ფორმებით და მეთოდებით. ამისათვის საჭიროა ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მეტი დახმარება გაგვიწიონ წიგნის მაღაზიებში სამუშაოდ სათანადოდ მომზადებული, კულტურული და წიგნის მოყვარული ადამიანების შერჩევისათვის. საჭიროა აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს წიგნის მაღაზიებისათვის საუკეთესო ბინების გამოყოფასა და გაფორმებას. ჩვენ დღემდე 22 რაიონულ ცენტრში არა გვაქვს წიგნის მაღაზია, რაც შეუწყნარებელია.

საბჭოთა ადამიანებს უყვართ წიგნი და დიდად აფასებენ მას. წიგნი საბჭოთა ადამიანისათვის საუკეთესო მრჩეველი და მეგობარია შრომასა და ბრძოლაში. იგი მტკიცედ ნერგავს მასებში მოწინავე მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მიღწევებს, მოუთხრობს კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის გმირულ საქმეებზე. მთელი ძალები მოვახმაროთ წიგნის გავრცელების საქმის სანიმუშოდ მოწყობას.

მ. გოცირიძე,
საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარ გამომცემლობის სამმართველოს წიგნით ვაჭრობის სამმართველოს უფროსი.

უფრო ახლოს წარმოებასთან

საქართველოს კიროვის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა მრავალრიცხოვანი კოლექტივი მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადებასთან ერთად დიდ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას ეწევა.

ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა მნიშვნელოვანი ნაწილი მუშაობს პრობლემებზე, რომლებიც მიმართულია ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში შრომის ნაყოფიერების მკვეთრი აღმავლობისაკენ, ადგილობრივი რესურსების ეფექტიანად გამოყენებისა და საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა შესწავლისაკენ.

მეცნიერ მუშაკთა უფროს თაობასთან ერთად ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერებიც, რომელთა შორის ბევრია ნიჭიერი, მუყაითი მუშაკი. ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები კონსულტაციას უწევენ ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა საწარმო-დაწესებულებებს.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრებზე მუშავდება სამეცნიერო თემატიკა ჩვენი რესპუბლიკის მრავალფეროვანი სახალხო მეურნეობის დარგებისათვის — ენერგეტიკის, სამთამადნო, ქიმიური, მანქანათმშენებელი და მეტალურგიული მრეწველობისათვის.

ჩიათურის ფოთლის გადამუშავების პროცესებს ავტომატიზაციის დარგში სეროიზულ კვლევითს მუშაობას ეწევა მეცნიერ მუშაკთა ჯგუფი, რომელსაც პროფესორი ბ. კანდელაკი და დოცენტი ა. კაკალაშვილი ხელმძღვანელობენ.

ჩიათურის ფოთლის გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციასა და ავტომატიზაციას, წარმოების განუწყვეტელი ნაკადური პროცესის დანერგვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო შრომის ნაყოფიერების, არამედ იგრეთვე პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების მკვეთრად გადიდებისათვის.

აღსანიშნავია, რომ გასული წლების მანძილზე ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ბაზაზე ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერმა მუშაკმა ა. კაკალაშვილმა შექმნა ახალი კონსტრუქციის ჩაის ფოთლის საგრეხი მანქანა, რომელიც მომავედის განუწყვეტელი ციკლით და იმავე დანიშნულების მანქანებთან შედარებით 3-4-ჯერ მეტი წარმადობა აქვს. ამ მანქანის მოდელის ნახევრად-საწარმოო პირობებში გამოცდამ საუნისი დაადასტურა მოსალოდნელი ეფექტი. ამჟამად ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფი და ჩაის მეურნეობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი ანასეულში ერთად მუშაობენ აღნიშნული მანქანის საწარმოო ეგზემპლარის აგებაზე. მისი გამოცდა მოეწყობა ჩაის ფოთლის გადამუშავების მიმდინარე სეზონში.

ჩაის ფოთლის გადამუშავების უწყვეტი ნაკადური პროცესის შექმნისა და დანერგვისათვის ინსტიტუტის თანამშრომელთა სამი ჯგუფი საწყალობს ჩაის ფოთლის გადამუშავების სხვა ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციის საკითხებს. კერძოდ წელს შესწავლილ იქნება ჩაის ფოთლის ჭკნობისა და გადამუშავებული ჩაის ფოთლის ხარისხის შემოწმების მეთოდები.

საქართველოს მარმარილო ძვირფასი საშენი მასალაა, რომელიც ამშვენებს ჩვენი ქვეყნის მონუმენტურ ნაგებობებს: მოსკოვის მეტროს მიწისქვეშა სასახლეებს, მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტს და მრავალ სხვა შენობას. დიდია მოთხოვნილება ქართულ მარმარილოზე. ამასთან დაკავშირებით მარმარილოს მოპოვება და გადამუშავება დღითიდღე იზრდება. მარმარილოს გადამუშავების მთელ ტექნოლოგიურ პროცესში ერთი ყველაზე უფრო შრომატევადი ოპერაციაა ზოდების ფირფიტებად დახერხვა და მათი გაკრილება. ასურადღებია ინსტიტუტის თანამშრომლის ვახტანგ დიდებულიძის გამოკვლევა მარმარილოს ზოდების დახერხვისა და შემდგომი დამუშავების პროცესების მიმართულებით. ამჟ. დიდებულიძემ შეიმუშავა მარმარილოს სახერხი ჩარხის ახალი კონსტრუქცია, რომლის საცდელი მოდელის მრავალჯერადი გამოცდამ ცხადყო მისი მაღალი წარმადობა, რაც 4-5-ჯერ აღემატება არსებული ჩარხების წარმადობას.

ინსტიტუტის თანამშრომელმა დ. ვაჩნაძემ შეიმუშავა ორიგინალური კონსტრუქციის ინვენტარული გადასახსნელ-გადასატანი ხარაჩო კედლის წყობისათვის, რაც მნიშვნელოვნად აჩქარებს კედლების ამოყვანის პროცესს. ამჟ. ვაჩნაძის კონსტრუქციის ხარაჩოს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, იგი ჩვენი რესპუბლიკის დიდმა სამშენებლო ორგანიზაციებმა მიიღეს პრაქტიკაში გამოსაყენებლად.

ფრიად საინტერესოა საფეიქრო დაზგების დაპრტყმული მექანიზმების მუშაობის გამოკვლევა, რაც განახორციელეს პროფესორმა დ. თავხელიძემ, დოცენტებმა დ. ჯელიძემ და ვ. გრიგორიევმა. საფეიქრო დაზგის აღნიშნული მექანიზმის მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული როგორც დაზგის წარმადობა, ისე ქსოვილის ხარისხი. პროფესორ თავხელიძის მიერ შემუშავებული ახალი კონსტრუქციის დამრტყმელი მექანიზმი მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს საფეიქრო დაზგების მუშაობას და ქსოვილის ხარისხს.

ავტომობილმშენებლობაში საავტომობილო ქარხნების მიერ გამოშვებული მანქანების საექსპლოატაციო პირობებში გამოცდას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ეს გამოცდა დროისა და საწვავი მასალების საგრძნობ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ჩვენი ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერმა მუშაკმა ი. მათიკაშვილმა, პროფესორ რ. დვალის ხელმძღვანელობით, შეიმუშავა და დაამზადა ავტომანქანების საგზაო გამოცდისათვის ორიგინალური კონსტრუქციის ხელსაწყო — „რეუომეტრი", რომელიც ძალიან ამცირებს ახალი მანქანის გამოცდის დროს და ამასთან დაკავშირებულ ხათბობის ხარჯსაც.

მოლოტოვის სახელობის გორკის საავტომობილო ქარხანამ ამჟ. მათიკაშვილის წინადადება წარმოებაში დასანერგავად მიიღო. ამ წინადადების განხორციელებისათვის სათანადო ნახელავი გადადგმული ქუთაისის და სხვა საავტომობილო ქარხნებშიც.

საინტერესო კვლევას აწარმოებენ ჩვენი რესპუბლიკის ადგილობრივი რესურსების გამოსაყენებლად ქიმიურ მრეწველობაში ზოგადი და არაორგანული ქიმიური ტექნოლოგიის კათედრის წევრები: პროფესორი ვ. კაკაბაძე, დოცენტები ვ. ჩაგუნავა, ი. ბუხოკური და სხვ. მეცნიერ მუშაკთა ამ შემოქმედებითი ჯგუფის ძირითადი კვლევის ობიექტს წარმოადგენს ჩვენი რესპუბლიკის უძვირფასესი სიმდიდრის — მარგანეცის და მისი ნარჩენების გამოყენება.

შემუშავებულია მთელი რიგ პროცესთა ტექნოლოგია ამ ნედლეულის საშუალებით სამრეწველო გზების გაწვენილისა და სასუქების წარმოებაში გამოყენების მიზნით. დოცენტ ჩაგუნავას კვლევით მიღებული შედეგები ამჟამად სტალინის სახელობის სტალინოგორსკის ქიმიურ ქარხანაში ინერგება.

ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის მეცნიერ მუშაკთა საკმაოდ დიდი ჯგუფი პროფესორების ბ. გამყრელიძის, ი. ბუაჩიძის, ი. ყიფშიძის და დოცენტების გ. ხარაშვილის, ა. ბენდელიანის, ბ. აბესაძის, ი. ხუხუნაშვილის, ვ. მირონჩანის, გ. ქართველიშვილის და სხვათა შემადგენლობით მუშაობს ჩვენი რესპუბლიკის წიაღისეულ სიმდიდრეთა შესწავლაზე და სამთამადნო მრეწველობის საწარმოთა რაციონალური ექსპლოატაციის საკითხებზე. ამ ჯგუფის კვლევითი მუშაობის ერთ-ერთ ძირითად ობიექტს ჭიათურის საბადო წარმოადგენს.

ჩვენი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივს თავისი წვლილი შეაქვს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში. სოფლის მეურნეობის მექანიზატორთათვის დაწერილია და უახლოეს ხანში გამოიცემა წიგნები ავტომობილებისა და ტრაქტორების ელექტრომოწყობილობაზე, გაიმართა მთელი რიგი ლექციათ-მოხსენებები სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის და სხვ.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივს მიზნად აქვს დასახული უფრო მეტი სამეცნიერო-ტექნიკური დახმარება გაუწიოს ჩვენს საწარმო-დაწესებულებებს და კიდევ უფრო განამტკიცოს შემოქმედებითი თანამეგობრობა წარმოების მუშაკებთან.

პროფესორი ბ. ზარიძე,
საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დირექტორი.

მეშახტეთა ბავშვების საზაფხულო დასვენება

ტყიბული. (საკ. კორ.). ყოველწლიურად მეშახტეთა სულ მეტი და მეტი ბავშვი ზაფხულს პიონერთა ბანაკებში ატარებს, წელს საწირის სანატორიული ტიპის პიონერთა ბანაკში 350-მდე ბავშვი დაისვენებს. ბავშვთა საზაფხულო-გამაჯანსაღებელი ღონისძიებებისათვის ასიგნებულია 18.000 მანეთამდე.

ხალხთა შემოქმედებითი მეგობრობის დროშით

დღეს „დინამოს" სტადიონზე

თბილისის „დინამოს" სტადიონი სპორტის მოყვარულთა შესაკრებ ადგილად არის ცნობილი, მაგრამ დღეს იგი მომსახურებას გაუწევს მუსიკისა და ხელოვნების მოყვარულთ — გაიმართება დიდი მასშტაბის კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს შემოქმედებითი კოლექტივები.

ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობას დიდი ისტორიული წარსული აქვს. სამი რესპუბლიკის შემოქმედებითი კოლექტივების დღევანდელი შეხვედრა ხელს შეუწყობს მომძე ხალხთა ურღვევი მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელები დღეს დიდი ინტერესით ეწვევიან „დინამოს" სტადიონს.

სურათზე: საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ქალთა ერთი ჯგუფი ასრულებს ცეკვას.

სალამი აზერბაიჯანიდან

აზერბაიჯანის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი შექმნილია 1940 წელს გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორის უზეირ ჰაჯიბეკოვის მონაწილეობითა და უშუალო ხელმძღვანელობით.

ანსამბლის ნიჭიერი კოლექტივი, რომელმაც შეითვისა აზერბაიჯანული ხალხური სიმღერებისა და ცეკვების საუკეთესო ტრადიციები, ამავე დროს სიყვარულით ინახავს აზერბაიჯანული კლასიკური მუსიკის სილამაზესა და კოლორიტს. კოლექტივმა დიდი პოპულარობა მოიპოვა საბჭოთა აზერბაიჯანის მაყურებელთა შორის, აგრეთვე დაიმსახურა მომძე საქართველოს და სომხეთის მშრომელთა სიყვარული და სიმპათია.

ანსამბლის ხელმძღვანელია რესპუბლიკის ერთ-ერთი მოწინავე კომპოზიტორი, აზერბაიჯანის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი — სეიდ რუსტამოვი. ანსამბლის რეპერტუარი შედგება აზერბაიჯანული ხალხური სიმღერებისა და ცეკვებისაგან, აგრეთვე ჩვენი სამშობლოს ხალხთა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხთა სიმღერებისა და ცეკვებისაგან.

აზერბაიჯანის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა წლების მანძილზე აღზარდა მთელი რიგი ნიჭიერი სოლისტები. მოცეკვავეთა ჯგუფიდან განსაკუთრებით გამოირჩევიან რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ალიბადა ბბდულაევი, ბერლინში გამართული ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალის მონაწილეები ბეიუკ აღა მამედოვი და როზა ჯალილოვა, ამინა დილბაზი, ტ. გამიდოვა, მ. იზრაილოვი და სხვ., მომღერალთა გუნდიდან — მამედ სალმანოვი, როზა ბალაიანი, საირა ჰუსეინოვა და სხვ.

დიდი აღფრთოვანებითა და სიხარულით ჩამოვიდა ანსამბლის კოლექტივი მომძე საქართველოს დედაქალაქში საბჭოთა საქართველოსა და საბჭოთა სომხეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებთან შესახვედრად.

შამეი ბადალბეილი,
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, აზერბაიჯანის სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორი.

საინტერესო შეხვედრა

საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კოლექტივი სიხარულით მოემზადა აზერბაიჯანისა და სომხეთის ხელოვნების მუშაკებთან შემოქმედებითი შეხვედრისათვის. ამ შეხვედრაში ჩვენი რესპუბლიკის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, რომელიც 1953 წელს შეიქმნა, მონაწილეობას მიიღებს 120 კაცის შემადგენლობით. ანსამბლის განუყრელ ნაწილს წარმოადგენს ქართული ხალხური საკრავების ორკესტრი, რომელმაც საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო. 1953-54 წლებში ჩვენმა ანსამბლმა საგასტროლო მოგზაურობა მოაწყო მოსკოვში, ლენინგრადში, უკრაინის, აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქებში. იგი ყველგან დიდ ინტერესს იწვევდა. ანსამბლის წევრებს მუდამ ახსოვთ წრფელი და ამაღელვებელი შეხვედრები მომძე ერების წარმომადგენლებთან.

ჩვენი საკონცერტო პროგრამა, რომელიც ძირითადად ქართულ ხალხურ სიმუსიკო და საცეკვაო შემოქმედებას შეიცავს, შეესებულია საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებებით და მომძე ერების ხალხური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებით.

ამჟამად ანსამბლი ემზადება მორიგი საგასტროლო მოგზაურობისათვის. იგი მომსახურებას გაუწევს სასოფლო-სამეურნეო გამოფენას მოსკოვში, ესტუმრება ვოლგისპირეთს და შუა აზიის სამრეწველო და სამეურნეო ცენტრებს.

გულწრფელად მივესალმებით შემოქმედებითი შეხვედრის მონაწილე მომძე აზერბაიჯანისა და სომხეთის მხატვრულ კოლექტივებს და ვუსურვებთ მათ შემდგომ შემოქმედებითს ზრდასა და განვითარებას.

კომპოზიტორი ვ. ცაგარეიშვილი,
საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი.

სომხეთის საესტრადო ორკესტრი თბილისში

საესტრადო ორკესტრი, რომელიც 1938 წელს ჩამოყალიბდა, სისტემატურად აწყობს მომძე რესპუბლიკების ქალაქებსა და სოფლებში კონცერტებს და ფართო საბჭოთა მაყურებლებს აცნობს სომხეთის მუსიკალურ კულტურას.

უახლოეს დღეებში საესტრადო ორკესტრი გაემგზავრება მოსკოვსა და ლენინგრადს. მოსკოვში გამართავს 30 კონცერტს, ლენინგრადში 20-ს.

ჩვენი კონცერტების პროგრამას ამშვენებს ცნობილი საბჭოთა კომპოზიტორების, აგრეთვე საქართველოს, აზერბაიჯანისა და სხვა რესპუბლიკების ხალხთა შესანიშნავი სიმღერები.

დღეს „დინამოს" სტადიონზე ეწყობა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის შემოქმედებითი კოლექტივების საესტრადო ორკესტრი. ეს ორკესტრი ერთ-ერთია ყველაზე ძველ ეროვნულ ორკესტრებს შორის. ორკესტრი ფლობს ეროვნული ინსტრუმენტების ფართო სარეპერტუარო ფონდს. ორკესტრის ხელმძღვანელი, ხალხური artist, ალ. ალიხანიანი ორკესტრს ეროვნული ინსტრუმენტებისა და ფოლკლორული ანსამბლის ბაზაზე ქმნიდა. ორკესტრი ეროვნული ინსტრუმენტებისა და ფოლკლორული ანსამბლის ბაზაზე ქმნიდა. ორკესტრი ეროვნული ინსტრუმენტებისა და ფოლკლორული ანსამბლის ბაზაზე ქმნიდა.

ეროვნული ინსტრუმენტების სიმფონიური ორკესტრი

მომძე ხალხების ხელოვნების პოპულარიზაციის მიზნით საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია 26 ივნისს „დინამოს" სტადიონზე თბილისის მშრომელებისათვის მართავს დიდ კონცერტს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს შემოქმედებითი კოლექტივები.

სომხეთის ხელოვნება წარმოდგენილი იქნება მრავალფეროვანი და საინტერესო პროგრამით, რომელსაც შეასრულებს სომხეთის საესტრადო ორკესტრი.

აზერბაიჯანის ხელოვნება თბილისელი მაყურებლის წინაშე წარმოდგენილი იქნება აზერბაიჯანის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ახალი, მდიდარი და საინტერესო პროგრამით.

მოწვეულ სტუმრებს გარდა ამ გრანდიოზულ კონცერტში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი.

თვითმოქმედი კოლექტივებიდან კონცერტზე გამოვა თბილისის კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის თვითმოქმედი საესტრადო ორკესტრი.

ამ დიდი მასობრივი კონცერტის მაღალხარისხოვნად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით „დინამოს" სტადიონი სპეციალურად იქნება რადიოფიცირებული და განათებული.

ასეთი დიდი მხატვრული ღონისძიება ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხთა ურღვევი მეგობრობის დემონსტრაციაა. საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიას განზრახული აქვს სისტემატურად გამართოს ასეთი მასობრივი კონცერტები საბჭოთა ხელოვნების პოპულარიზაციისა და შემდგომი განვითარების მიზნით.

ი. ნაზარიშვილი,
საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი.

დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით

ს. მ. კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრის კოლექტივი სიხარულით ეგებება დიდ კონცერტს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი მომძე რესპუბლიკების — აზერბაიჯანისა და სომხეთის მხატვრული კოლექტივები.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრს არაერთხელ მიუღია მონაწილეობა პაუსუსსაგებ, საინტერესო კონცერტებში. მაგალითად, გასულ წლებში ორჯერ მიგიღეთ მონაწილეობა შემოქმედებითს შეხვედრაში სომხეთის სახელმწიფო საესტრადო ორკესტრთან და ერთხელ ლენინგრადის ორკესტრთან. ამ შეხვედრებზე მაყურებლებს ვუჩვენეთ არა მარტო პროფესიონალთა ნაწარმოებები, არამედ აგრეთვე ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტების მიერ შექმნილი მრავალი საინტერესო საესტრადო ნომერი.

ჩვენს ორკესტრში განსაკუთრებით გამოირჩევიან პროგრამის წამყვანები ა. კახნიაშვილი, ა. გელოვანი და ა. ლორია, რომლებსაც შექმნილი აქვთ სტუდენტთა ცხოვრებაზე აგებული მრავალი საინტერესო ნაწარმოები.

ინჟინერ-გეოლოგი ი. ტულუში,
საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრის ხელმძღვანელი.

ორი გაზაფხული

ერაერთხელ გაგვგონია და წაგვიკითხავს, რომ ჩვენი ქვეყნის წლევანდელი გაზაფხული არა ჰგავს შარშანდელს. ყოველი გაზაფხული ახალი ნიშნით, ახალი თვისებით შემოდიოდა ჩვენში. გვახსოვს ის დაუვიწყარი გაზაფხული, როცა პირველი საბჭოთა ტრაქტორი მოვიდა სოფელში, როცა პირველი მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობაში ჯერ კიდევ არის დაუდევრობითა და აჩქარებით, სიზარმაცითა და გულგრილი დამოკიდებულებით წახდენილი, გაუთვალისწინებლობით და შეუგნებლობით დაზიანებული ზოგი რამ.

* * *

რაიკომის მდივანი მტს-ის ზონაში ახალი თანამდებობაა. იგი კოლმეურნეობაში პირველად ამ გაზაფხულზე მოვიდა და სულ მალე ახლობელი ადამიანი გახდა თავმჯდომარისათვის, ბრიგადირისა და კოლმეურნისათვის.

ტირიფონის ველის ბაღებიდან და ვენახებიდან, ყანებიდან და პლანტაციებიდან სწრაფად დგება ღილის მსუბუქი ნისლი. მტს-ის ზონაში რაიკომის მდივან ილო ეცადაშვილთან ერთად სოფელ ხელოუბანში მივდივარ. გზა ბერბუკის ეროროშილოვის სახელობის ყანებს შუა მიიმართება. გზის ორივე მხარეს მუქმწვანედ ლავნევებს კაცის მუხლამდე აყრილი ჯეჯილი. ოდნავ ირხევა ღონიერი, ტანდამძიმებული ყანა.

რაიკომის მდივანი წარბშეკრული გაჰყურებს ზღვასავით ჯეჯილს. რატომ? ასეთ ყანაზე უკეთესს რას ინატრებს კაცის გული? ილო ეცადაშვილმა შოფერს ანიშნა მანქანა გაეჩერებინა. გადმოვედით და ჯეჯილში შევედით.

— ყანამ თქვა: აპრილში ფეხი ავიდგი, მაისში თავი წავისხიო, — მომბიბუნდა მდივანი და შედგა. ჯეჯილიდან ნარი ამოგლეჯა, მერე ღონეჯას მისწვდა, შემდეგ შალგას და კობრჩხილას. — ასეთი ხშირი სარეველა თავს არ წაასხმევენებს ჯეჯილს. გუშინ ვიყავი აქ, ბრიგადირი გავაფრთხილე გაემარგლა. კარგ თაიგულს მივართმევ! — თქვა ცივად, მაგრამ მისი სახე არც ისე მკაცრი იყო.

„ასეთი ყანის ბრიგადირი არ შეიძლება ცუდი გამრჯე იყოს" — გავიფიქრე უნებლიეთ.

— გიორგი ოლასაშვილის ბრიგადის ყანაა, — თქვა მანქანაში ჩაჯდომის შემდეგ რაიკომის მდივანმა. — დიდ ხანს ვერ დაივიწყებს ამ თაიგულს გიორგი...

სანამ ხელოუბანში მივიდოდით, სოფელ ზეღოღუთის კოლმეურნეობის ბაღებში ბეღელი ბეღელ განაპირას ტრაქტორზე მიბმული შემწმველი მანქანა იდგა. შეწამვლაზე მომუშავე ორი კოლმეურნე აპარატში აზავებდა კომბინირებულ ხსნარს. წესით ეს დაუშვებელია. ხსნარის დოზირებაში რომ არ შეცდნენ, მას ჯერ სპეციალურად გამოყოფილ ჯასრებში ხსნიან და აპარატში შემდეგ გადაასქცთ. თუ დოზირებაში შეცდი, ხსნარი მხოლოდ ზიანს მოუტანს მცენარეს. შეწამვლაზე მომუშავე შემსხურებლები ხსნარის შეზავებაზე დიდ დროს ხარჯავენ, ცდებიან თავის საქმეს და დაღლილნი დაბალ ხარისხოვნად ასრულებენ სამუშაოს.

ისევ შეიკრა შუბლი რაიკომის მდივანმა. გადაწყვიტა დაუყოვნებლივ ენახა აგრონომი. დიდი ხანი ვეძებეთ გ. ხაბაშვილი. შემოვიარეთ ბაღები, ყანები, პლანტაციები და ბოლოს გამგეობის კანტორაში ვნახეთ. გამოირკვა, რომ ხსნარის მომზადების წესი არც ისე კარგად იცოდა აგრონომმა. არც ის იცოდა, რომელი სასუქი-რეული მანქანა მუშაობდა მის კოლმეურნეობაში — ოთხასლიტრიანი, თუ რვაასლიტრიანი.

ხელოუბანი ახალსოფლის მტს-ის ზონაში ყველაზე მდიდარი და მოწინავე სოფელია.

სულ ცოტა ხნის წინათ ეს ძლიერი სოფელი თავისი გამრჯე და შრომისმოყვარე ხალხით ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა რიცხვში იყო. მთელი რიგი წლების განმავლობაში აქ დროზე ვერ ხნავდნენ და თესავდნენ, ვერ ამუშავებდნენ ბაღებს, ვერ უვლიდნენ ნათესებს, აყოლილსა და ფრინველს. დროზე ვერ მკიდნენ ყანებს. მოსავლიანობა წლიდან წლამდე მცირდებოდა, კოლმეურნეობა ღარიბდებოდა.

ამის მიზეზი კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა უხერხემლობა იყო. გაგიგიეთ სათავეში ისეთი ადამიანები იდგნენ, რომლებსაც თავიანთი ცოდნით, მონდომებით და საქმის სიყვარულით არ შეეძლოთ გასძღოლოდნენ რთულ, მრავალდარგობრივ და მსხვილ მეურნეობას, რომლის წარმოება თითქმის ოთხმოცი პროცენტით მექანიზებული იყო. ტექნიკა სწრაფად ავითარებს მემინდვრეობის კულტურას, დიდ გავლენას ახდენს კოლმეურნეთა შეგნებაზე, აფართოებს მათს გონებრივ ჰორიზონტს, მაგრამ უნიათო ხელმძღვანელობა ტექნიკას ვერ აყენებდა.

არ მოვყვები, კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ალექსანდრე შარაშიძე) ორი-სამი წლის მანძილზე როგორ მიაღწია ისეთ წარმატებებს, რომ შარშან შრომადღეზე შვიდი კილოგრამი მარცვალი და ხუთი ბაღი განაწილდა. მინდა მხოლოდ ხელთუბნის შარშანდელი გაზაფხული შეადარო წლევანდელს. რა გააკეთა ახალი ამ მცირე ხანში კოლმეურნეობამ? რით განარჩიეთ წლევანდელი გაზაფხული აქ შარშანდლისგან?

პირველი, რაც თვალში მოგხვდებათ წელს ხელთუბნის მინდვრებზე, ეს კოლმეურნეობის გარეგანი სახეა. სათაც მიიხედავ, ყველგან მანქანა, ყველგან მექანიზატორია. მხარდამხარ მუშაობენ კოლმეურნე, ტრაქტორისტი, მემანქანე. მტს-ის მუშაკები მანქანებით აქ მოვიდნენ არა როგორც გამქირავებელი ორგანიზაციის წარმომადგენლები. ისინი მოვიდნენ თავიანთი საქმის გასაკეთებლად. მათ დღეს თუ მეტი არა, იმდენივე საქმე ავალიათ კოლმეურნეობაში, რამდენიც თვით კოლმეურნეობის წევრებს.

ტრაქტორისტი ზის ტრაქტორზე, კოლმეურნე კულტივატორზე, სათეს მანქანაზე, ტრაქტორისტს უბია ბაღის შესაწამლი მანქანა და კოლმეურნეები ასხურებენ ხსნარს. ტრაქტორისტი ჭრის არხსაჭრელი მანქანით არხებს და კოლმეურნე უდგას გვერდში. საითაც მიიხედავ, ყველგან მანქანა და ტრაქტორი, მტს-ის მუშაკი და კოლმეურნეა.

მტს-ი წელს ჩვენს წინაშე წარმოსდგა არა მარტო როგორც სოფლის მეურნეობის უდიდესი ინდუსტრიული ბაზა. მისი ადამიანები ამ გაზაფხულზე კოლმეურნეობაში მოვიდნენ ახალი თვისებებით, ახალი დამოკიდებულებით საკოლმეურნეო საქმისადმი. წელს სოფლის მეურნეობის განვითარება არა მარტო უახლესი ტექნიკის, წარმოებაში მეცნიერებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვით ხასიათდება. მთავარი ის არის, რომ ეს საქმე ისეთი ადამიანების ხელშია, რომლებსაც სოციალისტური მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ამაღლება სასიცოცხლო საქმედ მიაჩნიათ.

* * *

ეი კოლმეურნეობის პირველი ბრიგადის სიმინდის ყანა და ჭარხლის პლანტაცია. ყანაში კულტივატორი ზუშამბა, პლანტაციაში ქალები შრომობენ. წინ ბრგე ახალგაზრდა შემოგვეგება. გაოფლიანებული, მზისგან გარუჯული სახე უბრწყინავდა და შავი, წყლიანი თვალების ელვარებას სიცოცხლეს, ლაზათს ჰმატებდა.

— როგორ არის საქმე, ბაგრატ? — ჰკითხა რაიკომის მდივანმა ბრიგადირს. ეტყობოდა, ბრიგადირმა იცოდა, რაზე ეკითხებოდა ილო ეცადაშვილი.

— ხვალ მოვრჩებით სიმინდის თოხნას, — უპასუხა ბრიგადირმა და მერე დინჯად დაუმატა: — ყველა ნაკვეთზე რომ მომესწრო კვადრატულ-ბუდობრივად დათესვა, პირველი თოხი ახლა დიდი ხნის მოთავებული მექნებოდა.

— რამ შეგიშალათ ხელი, რომ ყველა ნაკვეთზე მანქანით დაგეთესათ?

ბრიგადირმა ჯერ მდივანს შეხედა, მერე მე, და დარცხვენით დაიწყო:

— ჯერ-ერთი, გამოუცდელობამ. მტს-მაც გვიან მიიღო სათესი მანქანის დამხმარე ნაწილები. ამის გამო მანქანაზე დამხმარე კოლმეურნეებმა წინასწარი მომზადება ვერ მოასწრეს. არც მტს-ის მექანიკოსებმა იცოდნენ კარგად მანქანის ავანჩავანი. ვერ ამუშავეს მანქანა. მხოლოდ ცამეტი ჰექტარი დავთესეთ კვადრატულ-ბუდობრივად. ახლა კი ენანობთ, მაგრამ გვიანაა.

ჩვეულებრივი ნათესის გათოხნას დღეში ჰექტარზე ეთმატები კაცი უნდება, მანქანით ნათესს კი კულტივაციის შემდეგ ექვსი. ახლა ძირთა გაწლაგება თქვი, მზის სხივების თანაბრობა, სასუქის განაწილება. არა, გაისად ერთ ჰექტარსაც არ დავთესავთ ხელით.

ყანიდან ჭარხლის პლანტაციაში გადავედით. ის იყო ჭარხლის გაფხვიერება და დაკაწვრა დაეწყოთ.

— რატომ სასუქი არ შეგაქვთ? — მიუბრუნდა რაიკომის მდივანი ბრიგადირს.

— აგრონომმა გვითხრა, გაფხვიერებას და დაკაწვრას რომ მორჩებით, სასუქი მერე შეიტანეთო.

— რატომ?! — გაიკვირვა ეცადაშვილმა. — სასუქის შეტანისას ხომ გაიზეპება გაფხვიერებული მიწა? ან მეორეჯერ რათ უნდა მიუბრუნდეთ ერთ საქმეს? შეიტანეთ სასუქი, აგრონომს მე მოველაპარაკები.

ბაგრატ ონესაშვილის ბრიგადაში 84 ქალი და კაცი მუშაობს. ამ ბრიგადას შარშან ვასო კოჩუაშვილი ხელმძღვანელობდა. ვერ მიჰყავდა ბრიგადის საქმე კარგად. ჩაეშალა მუშაობა, გვგმები. ბევრი წვერი სამუშაოდ არ გამოდიოდა. თებერვალში კოლმეურნეობაში ბრიგადირები ხელახლა შეიარჩიეს. კოჩუაშვილის ადგილზე ბაგრატ ონესაშვილი დანიშნეს. ახალმა ბრიგადირმა კარგი ორგანიზატორული ნიჭი გამოამჟღავნა. ორ-სამ თვეში მისმა ბრიგადამ ყველა ბრიგადას გაუსწრო. 30 მაისისათვის ბრიგადას მთლიანად მოთავებული ჰქონდა სიმინდის გათოხნა, როცა სხვა ბრიგადებში ჯერაც არ დაეწყოთ ეს საქმე. შეწამლულია პირველი ბრიგადის ბაღები, თავდება ჭარხლის პლანტაციების გაფხვიერება, შემოწმება, სასუქის შეტანა და დაკაწვრა.

* * *

გამგეობის ოთახში ალექსანდრე შარაშიძესთან ვიჯექი და საპირო ცნობებს ვიწერდი. კანტორის წინ ორი „პობედა" შედგა.

— საცდელი მინდვრიდან მეცნიერი მუშაკები მოვიდნენ, — მოახსენა თავმჯდომარეს მდივანმა ქალიშვილმა.

კარი გაიღო და შემოვიდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების მეცნიერი მუშაკები, რაიკომის მდივანი, საცდელი მინდვრის გამგე სერგო ღუღუნაძე და რამდენიმე ხელთუბნელი კოლმეურნე.

თავმჯდომარეს არ გაჰკვირვებია მათი მოსვლა. ის შესწავლოდა ასეთი სტუმრების ხშირ მოსვლას. შარაშიძე როგორღაც მოიღუშა, თითქოს რაღაც არ ესიამოვნა.

— მიხვედი, ალექსანდრე, რისთვის მოვედით, არა? — თქვა ერთ-ერთმა მეცნიერმა მუშაკმა.

— არ მივცემ მას მუშახელს, — კუშტად გადახედა თავმჯდომარემ საცდელი მინდვრის გამგეს. — სამი წელია, მისი საცდელი მინდორი მუშაობს. ჰკითხეთ, რითი დაგვეხმარნენ. არაფერით. შარშან ჰექტარ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გვატემალის წარმომადგენლის დეპეშა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საბჭოთა კავშირის წარმომადგენლისადმი

ნიუ-იორკი, 24 ივნისი. (საკდესი). დღეს საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ს. კ. ცარაპკინმა მიიღო გვატემალის წარმომადგენლის კასტილიო არიოლას დეპეშა იმასთან დაკავშირებით, რომ შეერთებული შტატების წარმომადგენელი ლოჯი, რომელიც უშიშროების საბჭოს მორიგი თავმჯდომარეა ივნისში, დღემდე არ იღებს არავითარ ღონისძიებას უშიშროების საბჭოს სხდომის დაუყოვნებლივ მოწვევის შესახებ გვატემალის თხოვნის დასაკმაყოფილებლად.

დეპეშაში ნათქვამია: „ჩემი მთავრობის სახელით პატივი მაქვს გთხოვოთ მოიწვიოთ უშიშროების საბჭოს სასწრაფო სხდომა იმის გამო, რომ 20 ივნისს მიღებულ რეზოლუციას კვლავ ეს ასრულებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სხვა სახელმწიფოები და ამით არღვევენ წესდების 25-ე მუხლს.

პირქით, გუშინდლიდან 23 ივნისის შუადღემდე ჩემი ქვეყნის 45-ზე მეტი ქალაქი და სოფელი დაბომბეს და სროლა იტეხეს ჰაერიდან; ზოგიერთი ქალაქი, ქალაქების საკაბის, გუალანისა და სხვ. მსგავსად, 100-გრადუსიანი ბომბებით დაბომბეს. ამ ქალაქების სამოქალაქო მოსახლეობას ტყვიამფრქვევებს უშენდნენ. გვატემალას არა აქვს საშუალება ასეთი დანშაულებრივი თავდასხმის მოსაგერიებლად. „რ-47“ ტიპის სამხედრო თვითმფრინავები — სამ-სამი და ოთხ-ოთხი — გაძლიერებულ დაზვერვას ეწევიან ყველა სხვა ქალაქში, რომლებიც გვატემალის ცენტრალურ და დასავლეთ რაიონებშია. აგრესორთა არაღეგალური რადიოსადგური გაფრთხილებას იძლევა, რომ უახლოეს 24 საათში დაიწყება ქალაქ გვატემალასა და სხვა მნიშვნელოვან ქალაქებზე მასიერებული თავდასხმა ჰაერიდან და დიდი ბომბების გაჭიყენება.

პრესის ცნობები, აგრეთვე ფოტოსურათები, რომლებიც მიღებულია პასუხისმგებელი წრეებიდან და გამოქვეყნებულია ამერიკის პრესაში, ცხადყოფენ, რომ დამპყრობთა გენერალური შტაბ-ბინა და ასაფრენ-ძირსდასაშვები გზები ჰონდურასის რესპუბლიკის ტერიტორიაზეა. უშიშროების საბჭოს უნდა ეცნობოს ეს მდგომარეობა და ამიტომ ჩემი მთავრობა ითხოვს თქვენს გულითად და ძვირფას თანამშრომლობას ზემოაღნიშნული ორგანოს მოწვევაში არაუგვიანეს ხუთშაბათისა, 24 ივნისისა, რათა განხილულებულ იქნას მისი 20 ივნისის რეზოლუცია; რაც შეიძლება მალე გაიგზავნოს მეთვალყურეთა კომისია, რომელმაც საბჭოს სიმარდოლით უნდა აცნობოს შეჭრის ამბავი, რომლის მსხვერპლია გვატემალა, რათა საბჭომ მიიღოს უაღრესად გადამწყვეტი ღონისძიებანი ამ აგრესიის განგრძობის შესაწყვეტად“.

ხელს აწერს — გვატემალის წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ედვარდ კასტილიო არიოლა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გვატემალის წარმომადგენლის არიოლას წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი

ნიუ-იორკი, 24 ივნისი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ჰამარშელდმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გვატემალის მუდმივი წარმომადგენლის არიოლასაგან მიიღო 1954 წლის 22 ივნისით დათარიღებული წერილი.

არიოლა თავის წერილში სთხოვს ჰამარშელდს გვატემალის რესპუბლიკის მთავრობის სახელით აცნობოს უშიშროების საბჭოს და საბჭოს თავმჯდომარეს, რომ არ სრულდება საბჭოს მიერ 1954 წლის 20 ივნისს მიღებული რეზოლუცია და რომ მისი მთავრობა სთხოვს მოიწვიოს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა.

ეხება რა შემდეგ თავის წერილში უშიშროების საბჭოს 1954 წლის 20 ივნისის სხდომას, არიოლა აღნიშნავს, რომ საბჭომ არ მიიღო რეზოლუციის პროექტი, რომელიც ბრაზილიისა და კოლუმბიის დელეგაციებმა წარადგინეს და რომელიც მოითხოვს გვატემალის წინააღმდეგ აგრესიის სხვა ასპექტები განსახილველად გადაეცეს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციას.

„საერთაშორისო სამართლის ნორმები, — ნათქვამია შემდეგ წერილში, — ნებას არ აძლევენ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციას მიიღოს ღონისძიებანი, რაღაც: ა) გვატემალის მთავრობას, რომელიც აგრესიის მსხვერპლია, სპეციალურად სთხოვა, თავისი უფლების შესაბამისად, რომ ორგანიზაციას არ განეხილა ეს საკითხი; ბ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 103-ე მუხლის საფუძველზე იმ შემთხვევაში, თუ გვატემალის, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრის ვალდებულებანი, წესდების შესაბამისად, ეწინააღმდეგებიან სხვა ვალდებულებებს, რომლებიც მას შეიძლება ჰქონდეს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის მიმართ, უპირატესი ძალა აქვს მის ვალდებულებებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიმართ“.

ამერიკული პრესა გვატემალაში ინტერვენციის მომზადებაში ამერიკის შეერთებული შტატების როლის შესახებ

ნიუ-იორკი, 24 ივნისი. (საკდესი). სტატიებში, რომლებიც ამერიკულ პრესაში იბეჭდება, ცინიკურად აღიარებულია როლი, რომელსაც შეერთებული შტატები გვატემალაში ახლანდელ ინტერვენციაში ასრულებენ, და გამოთქმულია იმედის გაცრუება იმასთან დაკავშირებით, რომ გვატემალის არმია ლოიალურია მთავრობისადმი, მიუხედავად ამერიკის ზოგიერთი წრეების წინააღმდეგი ვარაუდისა.

ვაშინგტონიდან გადაცემულ ცნობაში გაზეთ „ტრიბუნ საიენს მონიტორის“ კორესპონდენტი ჰარში გვატემალაზე თავდასხმას აშკარად უწოდებს „კარგად აღჭურვილ ოპერაციას, რომელიც ჰონდურასიდან დაიწყო“, და მოგვაგონებს, რომ თავის დროზე შეერთებულმა შტატებმა „დიდი ხელოვნება“ გამოიჩინეს ასეთ ოპერაციებში.

ჰარში ცინიკურად აღნიშნავს, „დიდი სიუსტე იქნებოდა, შეერთებულ შტატებს რომ უარი ეთქვათ პოლიტიკის ასეთ იარაღზეო“.

ამავე გაზეთში კორესპონდენტი სტრინგერი ვაშინგტონიდან გადმოცემულ ცნობაში აგრეთვე აღნიშნავს, რომ გვატემალაში შექმნილ დგომარეობასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი საკითხია, „დიმხრა თუ არა“ არმია, აღმოჩნდებიან თუ არა არმიაში მოღალატენი და დეზერტირები იმ გაძლიერებული პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიური ზეგავლენით, რასაც მასზე ახდენენ... შეერთებული შტატების მთავრობა ისეთ ზეგავლენას ახდენს, როგორიც კი ძალუძს.

საგაფიცვო მოძრაობა საფრანგეთში

პარიზი, 24 ივნისი. (საკდესი). გუშინ პარიზში და პარიზის რაიონში გაიმართა წვრილ გაკეთა და ხელოსანთა მოკლევადიანი საპროტესტო გაფიცვა გადასახადთა გადახდევინების სისტემაში ბოროტმოქმედების წინააღმდეგ. მიტინგის ათასობით მონაწილემ მოიწოდა ყველა ვაჭარსა და ხელოსანს შექმნან ერთიანობის კომიტეტები, რომლებმაც უნდა იბრძოლონ საგადასახადო სისტემის რეფორმისათვის.

ჯოუ ენ-ლაი ჟენევიდან გაემგზავრა

ლონდონი, 24 ივნისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენ-ლაი ჟენევიდან გაფრინდა დელში, სადაც იგი შეხვდება ინდოეთის პრემიერ-მინისტრს ნერუს.

ეიზენჰაუერის წერილი კონგრესისადმი

ვაშინგტონი, 24 ივნისი. (საკდესი). პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა თავის წერილში კონგრესსადმი ცხადყო, თუ როგორ აპირებენ იმ სახსრების განაწილებას, რომლებიც ასიგნებულია ევროფოწოდებული „უშიშროების ურთიერთ უზრუნველყოფის პროგრამისათვის“: 1.580 მილიონი — სამხედრო მიწოდებებისა და წვრთნისათვის; 954 მილიონი — უმთავრესად მიწოდებებისა და შეიარაღებული ძალების აღჭურვისათვის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში — „შეიარაღებული ძალებისათვის უშუალო მხარდაჭერა“; 223.400 ათასი — ზოგიერთ ქვეყანაში არაჩვეულებრივად დიდი სამხედრო პროგრამების განხორციელებისათვის — „მხარდაჭერა ურთიერთ თავდაცვის მიზნებით“; 241.300 ათასი — კორეისათვის; 256.400 ათასი — „დახმარების“ გასაწევად, უმთავრესად ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ აზიაში; 131.600 ათასი — „ტექნიკური თანამშრომლობისათვის“; 70.500 ათასი — სხვადასხვა მიზნისათვის.

რაიონების მიხედვით ასიგნებანი შემდეგნაირად ნაწილდება: 900 მილიონი საერთო ანგარიშით ასიგნებულ იქნება სომარი მზადებისათვის ევროპაში, 570 მილიონი — ახლო აღმოსავლეთში, აფრიკასა და სამხრეთ აზიაში; 1.770 მილიონი — შორეულ აღმოსავლეთსა და წყნარ ოკეანეში, 47 მილიონი — ლათინურ ამერიკაში და დაახლოებით 165 მილიონი—„არაეგიონალური პროგრამებისათვის“ (100 მილიონი განსახილველი კანონპროექტის შესაბამისად გამოყოფილია კერ-სტენის შესწორების განსახორციელებლად — საბოტაჟი და ძირგამომთხრელი საქმიანობა საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში).

თანხები სამხედრო მიზნებისათვის, აღიარებს წერილში ეიზენჰაუერი, „მართლაც მნიშვნელოვანია“. მაგრამ საერთო „თავდაცვის სისტემა“, რომელიც იქმნება „ჩვენს მოკავშირეებთან თანამშრომლობით“, „მნიშვნელოვნად უფრო იაფი“ ჯდება, ვიდრე სისტემა, „რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს ტერიტორიაზე იქმნება და მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ძალებისგან შედგება“. ეიზენჰაუერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „მეტისმეტად მნიშვნელოვანია“, რომ კონგრესმა დაამტკიცოს ასიგნობანი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისათვის „სამხედრო და სხვა დახმარების“ გასაწევად და „მოგვცეს რწმუნებანი ამ სახსრების გამოსაყენებლად სწრაფად ცვალებადი პირობების შესაბამისად“.

ეიზენჰაუერმა აგრეთვე რჩევა მისცა „შენარჩუნებულ იქნას მოქნილობა“ პროგრამის განხორციელებისას, კერძოდ, მიცემულ იქნას უფლება ასიგნებული სახსრების ერთგვარი პროცენტი გამოიყენონ სხვა რაიონებში და სხვა მიზნებისათვის, ვიდრე კონკრეტულად ნაჩვენები მიზნებია.

ომისაკენ მოწოდება ამერიკის სენატში

ვაშინგტონი, 24 ივნისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სენატში გაისმის მოწოდებანი გვატემალის ინტერვენციაში აშკარა მონაწილეობის სასარგებლოდ. დემოკრატმა სენატორმა სმაზერსმა (ფლორიდის შტატი) თავის სიტყვაში განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა უზრუნველყონ ამ ძალების გამარჯვება, რომლებიც მონაწილეობენ „გვატემალაში კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში“. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, სმაზერსის განცხადებით, ამ ვითარებაში უნდა იმოქმედონ „პირდაპირ და რეალისტურად“. სმაზერსმა მოიათხოვა, რომ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციამ „მიიღოს გადამწყვეტი ღონისძიებანი ერთობლივი მოქმედებისათვის დასავლეთი ნახევარსფეროს მასშტაბით, რათა თავი გაართვას მდგომარეობას, რომელიც საერთო საფრთხეს წარმოადგენს“. დემოკრატების ლიდერმა სენატში ჯონსონმა მოიწონა სმაზერსის განცხადება.

შეხვედრა მსოფლიოს ჩემპიონთან

არსენ მეკოკიშვილთან

24 ივნისს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის კოლექტივმა შეხვედრა მოუწყო მსოფლიოს ჩემპიონს თავისუფალ ჭიდაობაში არსენ მეკოკიშვილს. მეკოკიშვილი ახლახან დაბრუნდა საერთაშორისო შეჯიბრებიდან, რომელიც ტოკიოში გაიმართა, და რამდენიმე დღე გაატარა თავის მოხუცებულ დედასთან საგარეჯოს რაიონის სოფელ გორგიწმინდაში.



ა. მეკოკიშვილი.

* * *

— ყველგან, სადაც კი მივდიოდით, — ამბობს არსენი, — რომ გაიგებდნენ, საბჭოთა კავშირის სპორტსმენები მოვიდნენო, მოსახლეობა ძალიან გულთბილად გვეგებებოდა. მაგრამ დიდხანს არსად გავჩერებულვართ. მივიჩქაროდით იქ, სადაც ჩვენი ქვეყნის ღირსება უნდა დაგვეცვა სპორტში. ერთი შეხედვითაც, აშკარად ჩანდა, რომ მშრომელები საშინელ სიღარიბეს განიცდიან, განსაკუთრებით კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ ქვეყნებში.

ჩემთან ერთად მოდიოდნენ ძირითად მოჭიდავეებად ენგლასი, ბალავაძე, ცალქალამანიძე, გიგიაძე, მუშაშვილი, გაბარაევი, კარტოზია. მარქაფად ოთხი კაცი მგეკუავდა — კარავაევი, სალაიდი, დადაშევი და კანდელაკი.

ტოკიოში 14 მაისს ჩავედით. უნდა ითქვას, რომ იქ განსაკუთრებით გულთბილი შეხვედრა გაგვიმართეს. პოლიცია ძლივს აკავებდა მოზღვავებულ ხალხს, ერეკებოდა იმათ, ვინც ცდილობდა თაიგულები გადმოეცა ჩვენთვის.

22 მაისს დაიწყო შეჯიბრება. გაზეთებიდან ბევრი რამ უკვე იცით, და ამიტომ ამით აღარ შეგაწუხებთ. მხოლოდ იმის შესახებ მოგახსენებთ, რაც თვითეულ საბჭოთა პატრიოტს აინტერესებს, სახელდობრ, რატომ აღმოჩნდით მეორე ადგილზე. როდესაც პირველი ნამდვილად გვეკუთვნოდა. ამის მიზეზი შემდეგი გახლავთ:

პირველი ის, რომ, როგორც მოველოდით, მსაჯები ძალიან არაობიექტურად სჯიდნენ. უბრალო მაგალითს მოგახსენებთ. ცალქალამანიძემ ისე კარგად იჭიდავა, რომ მისი უპირატესობა ყველასათვის აშკარა იყო, მაგრამ გამარჯვება მაინც მის მოწინააღმდეგე იაპონელს მიანიჭეს.

გარდა ამისა, განგებ ისე მოგვიწყეს საქმე, რომ ფინალის დღეს თვითეულ ჩვენგანს რამდენიმე მოწინააღმდეგისთან გვქონდა შეხვედრა. ეს ადვილი როდია. ასეთ შემთხვევაში მოჭიდავე სუფთა დამარცხებას თუ გადაურჩა, ქულებით მაინც დაზარალდება. ეს ყველაფერი კი თურქეთის წარმომადგენლებმა მოგვიხერხეს თავიანთი დაუსრულებელი პროტესტების წერით და მაქინაციებით.

მართებული იქნება აქვე ესეც აღვნიშნოთ: მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე მეტი ჩემპიონები ჩვენ აღმოგვაჩნდა და ჩვენი ბიჭები, განსაკუთრებით ენგლასი და ბალავაძე ლომივით აბრძოდნენ, ასე ვერ ვიტყვით გიგიაძის შესახებ. იგი ვერ იყო სასურველ ფორმაში... კისერზე რაღაც ჯირკვლები გამოუვიდა და ამის გამო შედარებით სუსტ მოწინააღმდეგისთან დამარცხდა. რაც შეეხება კარტოზიას, რომლის შესახებ ძალიან ხშირად მეკითხებიან, უნდა მოგახსენოთ: მას კენჭისყრის დროს, თითქოს ესეც განგებ იყო მოწყობილიო, ისეთი მაგარი მოწინააღმდეგეები შეხვდნენ, რომ ფინალში ვეღარ გავიდა.

თურქი, შვედი და ამერიკელი მძიმე წონის მოჭიდავეები ინტერვიუში ამბობდნენ: „ჩვენ ვეცდებით პირველობა მოვიპოვოთ და ამის იმედიც გვაქვს, მაგრამ საბჭოთა კავშირის გუნდიდან ერთი მოჭიდავე გვაშინებს — ეს არის მეკოკიშვილი“. ჩემი მოწინააღმდეგეების ეს შიში გამართლდა.

შვედ ანტონსონს წინა ორი შეხვედრითაც ვიცნობდი. უნდა ითქვას, მეტად ძლიერი და თანაც დაუნდობელი მოწინააღმდეგეა. იგი ორივე შეხვედრისას ჩემთან სხვადასხვა ხერხებს ხმარობდა და მესამედაც არ გაუმეორებია წინანდელი. წესისამებრ, ხელი ჩამოვართვი და გამოვბრუნდი თუ არა, ფეხის გადადგმაც არ მაცალა, გააფთრებული მეტაკა. უნდოდა მოულოდნელობით ესარგებლა, თავის ხერხში შესულიყო და დავეხეთ, მაგრამ რა იცოდა, რომ სწორედ თავისი საწინააღმდეგო საქმე ჩაიდინა: მისმა ასეთმა დაუნდობლობამ ციცხლივით ამანთო და გამაბრაზა, — ამბობს არსენი.

არსენ მეკოკიშვილის გაბრაზება იაფად არ უჯდებათ მის მოწინააღმდეგეებს. კუნთებადქცეული ასოკალორგრამიანი ვოკაცი ამარცხებს ყველა მეტოქეს. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, რა იქნებოდა შვედი ანტონსონის ხვედრი.

როდესაც არსენმა თურქი ათანი დაამარცხა, მაყურებლებმა, მიუხედავად პოლიციის ხელის შეშლისა, მოახერხეს და საბჭოთა სპორტსმენების პატივსაცემად წითელი დროშები აიფრიალეს.

ასეთია ჩვენი საამაყო ფალავანი არსენ მეკოკიშვილი, რომელიც 16-გზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, მე-15 მსოფლიო ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონი, მსოფლიო ფესტივალის ჩემპიონი და ამ უკანასკნელად მსოფლიოს ჩემპიონი.

შეკითხვაზე, თუ როდემდის შეუძლია ატაროს მსოფლიოს ამსოლუტური ჩემპიონის სახელი, არსენმა ხალასი გულით უპასუხა:

— შორეულ მომავალზე რა მოგახსენოთ, ხოლო მეორე ასეთსავე შეჯიბრებაში შევძლებ დავიცვა ჩვენი დიადი სამშობლოს სპორტული ღირსება.

ს. იორამაშვილი.

სსრ კავშირ-ამერიკის შეერთებული შტატების საშადრაკო მატჩი

ნიუ-იორკი, 25 ივნისი. (საკდესი). გუშინ გაიმართა საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების გუნდების საშადრაკო მატჩის დაუმთავრებელი პარტიების გათამაშება.

ამრიგად მატჩის საბოლოო შედეგია 20:12 საბჭოთა კავშირის გუნდის სასარგებლოდ.

ფეხბურთი

მოსკოვი. 25 ივნისი. დედაქალაქის „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მორიგი საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში. თამაშობდნენ დინოს „ვიენგისა“ და მოსკოვის „დინამოს“ გუნდები. შეჯიბრება დამთავრდა მოსკოვის „დინამოს“ გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

საქართველოს კ. პ. ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პროპაგანდისტთა გადასამზადებელი ერთთვიანი კურსების დირექცია იუწყება, რომ კურსებზე მივლინებული ამხანაგები უნდა გამოცხადდნენ ქ. თბილისში ა. წ. 30 ივნისს.

კურსების მსმენელთა რეგისტრაციაში გატარება იწარმოებს სტუდენტთა ქალაქის სამმართველოში 30 ივნისს დილის 9 საათიდან. მეცადინეობა დაიწყება 1 ივლისს დილის 9 საათზე.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურციკიძე.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ეროვნული სახელმწიფო სესხი

ტირაჟირების ოფიციალური სია

მოგებათა მე-12 ტირაჟისა, რომელიც შედგა 1954 წლის 20 ივნისს ქალაქ ჩებოქსარში.

მოგება ხვდა სესხის ყველა თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
040157	15*)	5.000	049819	50*)	1.000
040289	1—50	200	049865	45*)	1.000
040355	41*)	1.000	050075	40*)	1.000
040552	1—50	200	050078	1—50	200
040792	04*)	1.000	050154	13*)	5.000
040834	10*)	50.000	050163	42*)	1.000
041511	19*)	1.000	050200	33*)	1.000
041513	47*)	1.000	050225	36*)	1.000
041540	14*)	1.000	050234	14*)	1.000
041542	33*)	1.000	050252	18*)	1.000
041710	47*)	1.000	050353	11*)	1.000
041985	41*)	1.000	050516	1—50	500
042024	1—50	500	050718	11*)	1.000
042052	33*)	1.000	050859	18*)	10.000
042344	43*)	1.000	050964	1—50	200
042391	18*)	10.000	051156	47*)	1.000
042436	1—50	500	051261	17*)	1.000
042907	1—50	200	051609	07*)	1.000
042967	49*)	1.000	051666	09*)	1.000
042984	43*)	1.000	051678	1—50	200
043054	09*)	1.000	051731	31*)	1.000
043083	22*)	10.000	051793	23*)	1.000
043164	1—50	200	051836	1—50	200
043244	1—50	500	052319	1—50	200
043403	1—50	500	052454	45*)	1.000
043606	44*)	1.000	052608	29*)	1.000
043650	24*)	1.000	052694	20*)	1.000
043656	1—50	200	052877	43*)	1.000
043671	41*)	1.000	052921	38*)	1.000
043766	21*)	1.000	053127	01*)	5.000
043905	1—50	500	053303	08*)	1.000
044095	1—50	200	053442	47*)	1.000
044162	1—50	200	053621	12*)	1.000
044186	1—50	200	053670	1—50	200
044202	1—50	500	053812	18*)	5.000
044271	43*)	1.000	054014	1—50	200
044314	14*)	1.000	054300	38*)	1.000
044396	1—50	500	054305	23*)	10.000
044481	15*)	1.000	054355	12*)	1.000
044669	04*)	1.000	054558	24*)	1.000
044717	08*)	25.000	054989	22*)	1.000
045021	18*)	1.000	055091	45*)	1.000
045108	43*)	1.000	055187	1—50	200
045309	41*)	1.000	055260	45*)	1.000
045466	38*)	1.000	055373	08*)	1.000
045473	1—50	500	055424	20*)	1.000
045510	27*)	1.000	055509	1—50	200
045543	12*)	1.000	055607	19*)	1.000
045624	1—50	200	055647	08*)	1.000
045780	38*)	1.000	055804	21*)	25.000
045790	1—50	500	055890	42*)	1.000
046031	1—50	200	055897	48*)	1.000
046085	13*)	5.000	055985	30*)	1.000
046352	45*)	1.000	055996	31*)	1.000
046465	06*)	1.000	056028	43*)	5.000
046478	1—50	200	056039	14*)	1.000
046509	26*)	1.000	056177	1—50	200
046640	1—50	500	056283	33*)	5.000
046767	50*)	10.000	056382	1—50	200
046956	1—50	500	056941	33*)	1.000
047200	50*)	1.000	057097	04*)	1.000
047395	1—50	200	057511	25*)	5.000
047464	07*)	1.000	057575	1—50	200
047621	1—50	500	057593	06*)	1.000
047745	20*)	1.000	057595	40*)	1.000
047847	46*)	1.000	057604	01*)	1.000
047948	47*)	1.000	057621	19*)	1.000
048012	42*)	1.000	057745	06*)	1.000
048211	08*)	1.000	057905	26—50	200
048256	1—50	500	058205	1—50	500
048432	03*)	5.000	058273	1—50	200
048470	1—50	500	058405	19*)	1.000
048512	44*)	1.000	058446	11*)	1.000
048563	1—50	200	058545	1—50	200
048801	47*)	1.000	058844	1—50	500
048839	20*)	1.000	058867	04*)	1.000
048890	1—50	500	058942	34*)	1.000
048922	1—50	500	059034	47*)	1.000
048975	09*)	1.000	059142	08*)	1.000
048981	34*)	1.000	059279	1—50	200
049121	35*)	1.000	059372	1—50	200
049621	34*)	1.000	059384	40*)	1.000
049642	17*)	5.000	059559	12*)	1.000
049735	1—50	500	059603	10*)	1.000

* ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 200 მანეთი მოგება თვითეულს.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — ჩუვაშეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ი. ა. აფანასიევი.
კომისიის პასუხისმგებელი მდივანი
მ. ა. სმირნოვა.

თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი აცხადებს 1954-55 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა მიღებას I და III კურსებზე.

მეცადინეობა ტექნიკუმში წარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე. სწავლის ხანგრძლივობა I კურსზე 4 წელი, III კურსზე შემსწავლელთათვის 2 წელი და 4 თვე.

ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 14-დან 30 წლის ასაკამდე. ტექნიკუმი ამზადებს: 1. ტექნიკოს-კონსტრუქტორებს — მანქანათმშენებლობაში, 2. ტექნიკოს-ტექნოლოგებს—ლითონის ჭრით დამუშავებაში, 3. ელექტრონტექნიკოსებს—სამრეწველო-საწარმოო ელექტროფიცირებაში, 4. ელექტრონტექნიკოსებს — სპეციმანქანების ელექტრომოწყობილობაში.

I კურსზე ჩაირიცხებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც მისაღებ გამოცდებს ჩაბარებენ შემდეგ საგნებში: სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ზეპირი), რუსულ ენაში (წერა, კარნახი), მათემატიკაში (წერა, ზეპირი).

ქართულ სექტორზე შემსვლელნი, გარდა ჩამოთვლილი საგნებისა, გამოცდებს აბარებენ აგრეთვე ქართულ ენაში (წერა, კარნახი) და ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი).

ის პირები, რომლებმაც არასრული საშუალო სკოლა დამთავრეს ფრიადზე და დაჯილდოებული არიან ქების სიგელით, მიუხედავად დამთავრების წლისა, უგამოცდოდ ჩაირიცხებიან I კურსზე.

9-10 კლას დამთავრებულნი მიიღებიან I კურსზე საერთო წესით. მე-3 კურსზე ჩაირიცხებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც გამოცდებს ჩაბარებენ შემდეგ საგნებში: რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, თხზულება და ზეპირი), მათემატიკაში (წერა, ზეპირი), სსრ კავშირის ისტორიაში (ზეპირი).

ქართულ სექტორზე შემსვლელნი, გარდა ჩამოთვლილი საგნებისა, გამოცდებს აბარებენ აგრეთვე ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, თხზულება და ზეპირი), ის პირნი, რომლებმაც საშუალო სკოლა დამთავრეს ოქროსა და ვერცხლის მედლით, მიუხედავად საშუალო სკოლის დამთავრების წლისა, უგამოცდოდ ჩაირიცხებიან მესამე კურსზე.

სწავლის დაწყებიდანვე ყველა ჩარიცხულ მოსწავლეს, რომელთაც არასრული ან საშუალო სკოლა დამთავრებული აქვთ ფრიადზე, აგრეთვე ვინც მისაღებ გამოცდებზე მიიღებს ნიშნებს არანაკლებ „4“-ისა, ენიშნება სტიპენდია.

მოსწავლეებს, რომლებსაც არა აქვთ საცხოვრებელი ბინა, ტექნიკუმი ნაწილობრივ აუნაზღაურებს ბინის ქირას.

ტექნიკუმში შემსვლელებმა განცხადება უნდა შეიტანონ დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: განათლების მოწმობა (ატესტატი, მხოლოდ დედანი), დაბადების მოწმობის ასლი, შემოწმებული ნოტარიუსის მიერ, ავტობიოგრაფია, სამი ფოტოსურათი (ზომით 3×4 სმ), ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ, სამხედროვალდებულთათვის — სამხედრო ბილეთი ან მისაწერი მოწმობა (წარადგენენ პირადად).

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე. მისაღები გამოცდები 10 აგვისტოდან 20 აგვისტომდე. საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ტექნიკუმის კანცელარიაში ყოველდღე, გარდა გამოსასვლელი დღისა, დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე. მისამართი ქ. თბილისი, კამოს ქ. № 70, ტელეფონი № 3-21-43.

ცეკავშირის თბილისის ერთწლიანი სავაჭრო კოოპერაციული სკოლა აცხადებს მოსწავლეთა მიღებას სბუხჭალტრო, სავაჭრო და ინსტრუქტორ-რევიზორთა განყოფილებებზე 1954-55 სასწავლო წლისათვის.

სკოლა ამზადებს სოფლის კოოპერატივების ბუხჭალტრებს, სოფლის კოოპერატივებისა და რაიკოოპკავშირების სავაჭრო საწარმოთა გამგეებს და ინსტრუქტორ-რევიზორებს. სკოლაში მიიღებიან სსრკ მოქალაქენი 18 წლის ასაკიდან, რომელთაც აქვთ განათლება სულ მცირე საშუალო სკოლის რვა კლასის მოცულობით.

სბუხჭალტრო განყოფილებაზე: სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის საღრიცხვო დარგის პრაქტიკული მუშაკები და საღრიცხვო მოწაფეები, რომელთაც დამთავრებული აქვთ ინდივიდუალური პრაქტიკული სწავლების კურსი ან იმყოფებიან სწავლებაზე არანაკლებ 5 თვისა.

ინსტრუქტორ-რევიზორთა განყოფილებაზე: სამომხმარებლო ვაჭრობის დარგის პრაქტიკული მუშაკები და სავაჭრო დარგის მოწაფეები, რომელთაც დამთავრებული აქვთ ინდივიდუალური პრაქტიკული სწავლების კურსი ან იმყოფებიან სწავლებაზე არანაკლებ 5 თვისა.

ინსტრუქტორ-რევიზორთა განყოფილებაზე: სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის ინსტრუქტორ-რევიზორები და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის სხვა პრაქტიკული მუშაკები (პირველ რიგში საღრიცხვო დარგის).

სკოლაში სწავლა იწარმოებს ქართულ ენაზე. განცხადებები მიიღება 1954 წლის 15 აგვისტომდე. სავაჭრო კოოპერაციულ ერთწლიან ს